პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო
КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР
შაბათი, 7 ივნისი, 1947 წ. № 118 (7897). ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მეაბრეშუმეობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანა. მოწინავე (1-ლი გვერდი).
დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის შესახვედრად (1-ლი გვერდი).
პარტიული ცხოვრება. კ. გოგლიძე—პარტიული მუშაობის გაძლიერებით უზრუნველვყოფთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას (მე-2 გვერდი).
პროპაგანდისტის დასახმარებლად. ვ. მოსკვინი—საბჭოთა ვაჭრობა ახალ სტალინურ ხუთწლედში. (მე-2 გვერდი).
კ. რუსიშვილი — კოლმეურნეები იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ამბები—დეპეშები (მე-3 და მე-4 გვერდი).

მეაბრეშუმეობის მუშაკთა საბრძოლო ამოცანა

საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1947 წლის 21 მარტს ამხანაგმა კ. ნ. ჩარკვიანმა სთქვა: „არ უნდა დავივიწყოთ, რომ აბრეშუმის პარკის წარმოებაში საქართველოს ხვედრითი წონა საბჭოთა კავშირში ძალიან მაღალია. მოკავშირე რესპუბლიკათა შორის ჩვენ დამზადებული პარკის რაოდენობის მხრივ მეორე ადგილი გვიჭირავს. ამასთან ერთად ჩვენი პარკი საბჭოთა კავშირში ყველაზე მაღალი ხარისხისაა. აქედან ნათელია, თუ რა მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ეკონომიკისათვის საქართველოში დამზადებულ თვითეულ ტონა პარკს. ყოველივე ეს გვავალებს გადაჭრით და სწრაფად წავსწიოთ წინ მეაბრეშუმეობა და უახლოეს ორ წელიწადში მაინც ავიყვანოთ იგი ომამდელ დონემდე“.

მეაბრეშუმეობის მუშაკთა მოვალეობაა ენერგიულად იბრძოლონ ამ ამოცანის განსახორციელებლად.

მეაბრეშუმეობის განვითარება დიდად უწყობს ხელს კოლმეურნეობათა შემოსავლისა და კოლმეურნეთა შეძლებულობის ზრდას. მარტო შარშან საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა და კოლმეურნეებმა სახელმწიფოსათვის პარკის ჩაბარების გეგმის წარმატებით შესრულებისათვის მიიღეს 57.855.700 მანეთი ფულად, 29 მილიონამდე მანეთის სამრეწველო საქონელი და 4.574,7 ტონა მარცვლეული. გარდა ამისა, პრემიები მიეცათ გეგმის შემსრულებელ მოწინავე რაიონებს 2,5 პროცენტის რაოდენობით.

მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით აბრეშუმის ქსოვილის გამოშვება უნდა გადიდდეს ერთნახევარჯერ და მეტად. ამისათვის აუცილებელია მრეწველობას მეტი რაოდენობით მივცეთ აბრეშუმის პარკიც. საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1947 წლის მაისის პლენუმის დადგენილებაში ნათქვამია: „მეაბრეშუმეობის რაიონების პარტიული, საბჭოთა და სასოფლო-სამეურნეო ორგანოების უპირველეს ამოცანად ჩაითვალოს მეაბრეშუმეობის შემდგომი აღმავლობა; მიღწეულ იქნას 1947 წელს საერთო მოსავლის მიღება სულ მცირე 2.980 ტონა აბრეშუმის პარკის რაოდენობით, ხოლო 1948 წელს 3.100 ტონის რაოდენობით“.

მოწინავე კოლმეურნეობები და კოლმეურნეები თავდადებით შრომობენ წელს აბრეშუმის პარკის უხვი მოსავლის მისაღებად. ამ მუშაობის პირველი შედეგები უკვე სჩანს. წულუკიძის რაიონის დიმიტროვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატმა ნ. ბარამიძემ 15 გრამ თესლზე მოიყვანა და სახელმწიფოს ჩააბარა 51 კილოგრამი პარკი, ამავე რაიონის სტუროუას სახელობის კოლმეურნეობის წევრმა დ. ჩხენკელმა 8 გრამზე — 61 კილოგრამი (გეგმის 317,7 პროცენტი). ვანის რაიონის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ა. გვენეტაძემ აბრეშუმის პარკის მოსავლიანობის გეგმა 280 პროცენტით შეასრულა, წყალტუბოს რაიონის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრმა ლუბა აფხაიძემ — 250 პროცენტით. ასეთი მაგალითების მოყვანა ბლომად შეიძლება.

ახლა ამოცანა ის არის, რომ ფართოდ გავავრცელოთ მოწინავეთა გამოცდილება, გავამრავლოთ სტახანოველ მეაბრეშუმეთა რიგები. აბრეშუმის ჭია ამჟამად ძირითადად მეოთხე და მეხუთე ასაკებშია. ეს ყველაზე პასუხსაგები პერიოდია. ამ ასაკში ჭია სერიოზულ მოვლას მოითხოვს. ჭიის გამოკვება სიცხეების დადგომამდე უნდა დამთავრდეს. ზოგან ამას არ ითვალისწინებენ, აჭიანურებენ კვებას, ეს კი მოსავლიანობის შემცირებას გამოიწვევს. აბრეშუმის ჭიას ცუდად უვლიან, მაგალითად, გეგეჭკორის რაიონის სოფელ სერგიეთის ჩარკვიანის სახელობის კოლმეურნეობის წევრები თინა ქუთათელაძე, სონია ბელია, თამარ და ნინო უგულავები, ლუბა ჯანაშია. ამის გამო ჭია ჯერჯერობით მხოლოდ მეორე და მესამე ასაკშია. არანორმალური კვების გამო ჭიის განვითარება შეფერხებულია აგრეთვე ამავე სოფლის კოლმეურნეობა „მნათობში“, აბაშის რაიონის სოფელ პირველი მაისის მახარაძის სახელობის, ზუგდიდის, ჩხოროწყუს და ზოგიერთი სხვა რაიონის ცალკეულ კოლმეურნეობებში.

როგორც სჩანს, აღნიშნულ რაიონებში სათანადო ყურადღება არ ექცევა ქისტაურელ სტახანოველ მეაბრეშუმეთა გამოცდილების პოპულარიზაციას. ამიტომ ყველა მეაბრეშუმემ არ იცის, როგორ მიიღოს პარკის უხვი მოსავალი.

პარტიული და საბჭოთა ორგანიზაციების, კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების, მეაბრეშუმეობის დარგის სპეციალისტების მოვალეობაა ყურადღება მიაქციონ მეაბრეშუმეთა შრომის სწორად მოწყობას, აბრეშუმის ჭიის მოვლის წესების მტკიცედ დაცვას, მოწინავეთა გამოცდილების პოპულარიზაციას.

აბრეშუმის ჭიის მოვლაზე დამოკიდებულია არა მარტო პარკის მოსავლის რაოდენობა, არამედ მისი ხარისხიც. კარგი ხარისხის პარკს მხოლოდ კარგად მოვლილი ჭია იძლევა. კვების რეჟიმის დაცვასთან ერთად გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს სისუფთავეს, ხარისხიანი საცახე მასალის მომზადებას, დროულად დაცახვას.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პლენუმი სახავს ამოცანას, რომ 1947-1948 წლების განმავლობაში მოეწყოს აბრეშუმის პარკის საშრობების, სახმობებისა და საგრენაჟო ქარხნების კაპიტალური შეკეთება, წელს აშენდეს 150 ტონა მშრალი პარკის ტევადობის სახმობები და სხვ. ამ დავალების შესრულებისათვის საჭიროა აქედანვე ფართოდ გავაჩაღოთ მუშაობა.

დროულად გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი აბრეშუმის ჭიის კვების საქმეში, გადაჭრით გავაუმჯობესოთ ჭიის მოვლა, სრულ წესრიგზე მოვიყვანოთ ტექნიკური ბაზა, მთლიანად და გადამეტებით შევასრულოთ აბრეშუმის პარკის დამზადების სახელმწიფო გეგმა. — აი მეაბრეშუმეთა საბრძოლო ამოცანა.

ამხანაგ სტალინისათვის გაგზავნილი წერილით კოლმეურნე გლეხობამ ვალდებულება იკისრა განსაკუთრებული ყურადღება დაუთმოს ჩვენი სოფლის მეურნეობის მნიშვნელოვანი დარგის — მეაბრეშუმეობის განვითარებას. ვიბრძოლოთ ამ ვალდებულების სასახელოდ შესრულებისათვის.

ალექსანდროვის ქარხანაში ვ. ი. ლენინის გამოსვლის 30-ე წლისთავი

ლენინგრადი, 5 ივნისი. (საკდესი). ეს ადგილი კარგად ახსოვს ნევის გარეუბნის ყველა ძველ მცხოვრებს. აქ ალექსანდროვის მექანიკური ქარხნის სამგზავრო საამქროს რაიონში 30 წლის წინათ, 1917 წლის 4 ივნისს, ალექსანდროვის ქარხნის პროლეტარებს სიტყვით მიმართა ვლადიმერ ილიას-ძე ლენინმა.

გუშინ ყოფილ „ორმოსთან“, სადაც ამჟამად აღმართულია ვებერთელა საწარმოო კორპუსი, რომელზეც მიკრულია მემორიალური დაფა დაუვიწყარი ამბის სახსოვრად, შეიკრიბა ორი ქარხნის—ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის ოქტომბრის ვაგონსარემონტო ქარხნისა და პროლეტარსკის ორთქლმავალსარემონტო ქარხნის მშრომელთა ხალხმრავალი მიტინგი.

უხუცესმა საწარმოო მუშაკმა ამხ. ივანოვმა, რომელსაც წილად ხვდა ბედნიერება მოესმინა ლენინის სიტყვა იმ ღირსშესანიშნავ დღეს, თავისი მოგონებანი გაუზიარა დამსწრეთ.

მიტინგზე გამოვიდნენ აგრეთვე შრომის ვეტერანები — ამხანაგები მუხინი, იაკოვლევი, ვორონოვი და ტარაბაროვი. მათ მუშებს მოუწოდეს — წლიური გეგმის ვადამდე შესრულებით აღნიშნონ საბჭოთა ხელისუფლების მოახლოებული 30-ე წლისთავი.

სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სესხის ტირაჟი

7 ივნისს კიშინიოვში დაიწყება სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების სახელმწიფო სესხის მოგებათა პირველი ტირაჟი; ეს სესხი გამოშვებულია 1946 წელს.

გათამაშებულ იქნება 485.595.400 მანეთის 1.819.875 მოგება, მათ შორის 50 ათასმანეთიანი 211 მოგება, 25 ათასმანეთიანი 422 მოგება, 10 ათასმანეთიანი 1.055 მოგება, 5 ათასმანეთიანი 2.110 მოგება. (საკდესი).

ქრონიკა

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. სერგი ალექსის-ძე აფანასიევი დანიშნა სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ნორვეგიაში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ამხ. ნიკოლოზ დიმიტრის-ძე კუზნეცოვი გაათავისუფლა ნორვეგიაში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან.

დიდი ოქტომბრის XXX წლისთავის შესახვედრად

ლენინისა და სტალინის სახელობის შახტებმა შეასრულეს მაისის გეგმები

მაისის უკანასკნელ ათდღიურში გაძლიერებული მუშაობის შედეგად, ტყიბულქვანახშირის ტრესტის ძირითადმა შახტებმა ქვანახშირის ამოღების თვიური გეგმები შეასრულეს.

სტალინის სახელობის შახტმა 31 მაისს მეორე ცვლაში დაამთავრა თვიური გეგმის შესრულება, ხოლო მესამე ცვლამ გეგმის გადამეტებით მოგვცა ქვანახშირი. ამ შახტის მეოთხე უბანმა (უფროსი გ. გორგაძე) თვიური დავალება 130 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით 1.000 ტონამდე ქვანახშირი გამოიღო. მეორე უბანმა ინჟინერ ნ. ციცხვაიას ხელმძღვანელობით თვიური გეგმა 120 პროცენტით შეასრულა. მაისის გეგმები წარმატებით შეასრულეს აგრეთვე შ. შოთაძისა და დ. კახნიაშვილის უბნებმა.

ლენინის სახელობის შახტმა, რომელიც მთელი რიგი თვეების მანძილზე ჩამორჩებოდა, მაისის გეგმა 100,7 პროცენტით შეასრულა. შახტის უბნებიდან ყველაზე მაღალ ნაყოფიერებას მიაღწია მეორე უბანმა (უფროსი ალ. ცირეკიძე), რომელმაც თვიური დავალება 125 პროცენტით გაანაღდა. ამ უბნის გ. ქუმსიაშვილის ცვლამ გეგმა 140 პროცენტით შეასრულა. თვიური დავალებები 114-117 პროცენტით გაანაღდეს მ. ფანჩულიძისა და გ. ჩიტიშვილის უბნებმა.

შახტების მთელი რიგი უბნები ჯერ კიდევ ვერ აღწევენ გეგმების შესრულებას. სტალინის სახელობის შახტში თვიური გეგმები ვერ შეასრულეს ვლ. გვენეტაძისა და პ. ნანიკაშვილის უბნებმა. ლენინის სახელობის შახტში ჩამორჩნენ ლ. ვაშაკიძის და ა. ვარაზაშვილის უბნები. ვაშაკიძის უბანმა თვიური დავალება მხოლოდ 57 პროცენტით შეასრულა.

მაისში გააუარესა მუშაობა გელათის შახტმა, სადაც თვიური გეგმა მხოლოდ 87,2 პროცენტით არის შესრულებული.

ტყიბულელმა მეშახტეებმა უნდა განამტკიცონ მაისში მოპოვებული წარმატებები და უკეთ იმუშაონ ივნისში.

ს. მერკვილაძე

„კომუნისტის“ საკუთარი კორესპონდენტი

სახელოსნოში აითვისეს კომბაინის რთული დეტალის დამზადება

როგორც ცნობილია, საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილებას — „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“, ფართოდ გამოეხმაურნენ თბილისის საწარმოთა კოლექტივები. მთელმა რიგმა ქარხნებმა საქართველოს სოფლმომარაგებიდან მიიღეს დაკვეთები სასოფლო-სამეურნეო იარაღ-მანქანების სხვადასხვა ნაწილების დასამზადებლად. ამ მხრივ განსაკუთრებით განირჩევიან ქარხანა „დაზგა“ და კალინინის სახელობის ქარხანა, რომლებიც ამზადებენ კომბაინის სათადარიგო ნაწილებს. ამჟამად აღნიშნულ ქარხნებში მექანიკური დამუშავების პროცესშია 30 სახის სხვადასხვა ნაწილი, რომელთა დამზადება საგრძნობლად შეუწყობს ხელს ჩვენი მტს-ების შეუფერხებელ მუშაობას მოსავლის აღების დროს.

განსაკუთრებული ენერგიით მოჰკიდა ხელი სოფლის დაკვეთების შესრულებას თბილისის საავიაციო ტექნიკუმის სახელოსნომაც (ტექნიკუმის დირექტორი ამხ. ჯიბუტი, ინჟინერი დიდებულიძე, საამქროს უფროსი კოხრეიძე), სადაც შესძლეს კომბაინის „დეკის“ დამზადება. „დეკა“ კომბაინის მეტად მნიშვნელოვანი ნაწილია და თავისი მუშაობის პირობების გამო, ხშირად ფუჭდება. მისი დამზადება ადგილობრივ საწარმოებში მეტად გაძნელდა იმ განსაკუთრებული სიზუსტის გამო, რაც დაცული უნდა იქნას სხმის დროს. სულ მცირედი დარღვევა აღნიშნული სიზუსტისა იწვევს „დეკის“ უვარგისობას. ამავე დროს აღნიშნული დეტალის შემოზიდვა სხვა ქარხნებიდან არ სწარმოებდა რამდენიმე წლის მანძილზე და მტს-ები დიდ სიძნელეს განიცდიდნენ.

საავიაციო ტექნიკუმის სახელოსნომ მიმდინარე წლის აპრილში მიიღო „დეკების“ დამზადების დაკვეთა. მაისში მან უკვე მოგვცა 200 ცალი „დეკა“. მტს-ებში შემოწმებისას ისინი საუკეთესო ხარისხის გამოდგა.

ტექნიკუმის სახელოსნოს კოლექტივის მაგალითი დანარჩენი საწარმოებისათვის მისაბაძია.

დ. ვაშაძე

საქართველოს სოფლმომარაგების ინჟინერ-მექანიზატორი.

ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის წარმატება

სტალინის სახელობის თბილისის ფეხსაცმლის პირველი ფაბრიკის კოლექტივმა 5 ივნისს, ვადამდე 25 დღით ადრე, დაამთავრა ნახევარი წლის გეგმის შესრულება. ივნისის ბოლოსათვის ფაბრიკას სახელმწიფო გეგმის მიხედვით უნდა მოეცა 1.129.500 მანეთის სხვადასხვა ასორტიმენტის ფეხსაცმელი. 5 ივნისისათვის უკვე გამოშვებული იყო 1.134.800 მანეთის პროდუქცია.

ფაბრიკის კოლექტივი პირობას იძლევა წლიური გეგმა ყველა მაჩვენებლის მიხედვით საოქტომბროდ შეასრულოს.

მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა მაისის გეგმა გადაჭარბებით შეასრულეს

სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის საწარმოებმა საერთო პროდუქციის მაისის გეგმა 106,2 პროცენტით შეასრულეს. 1947 წლის ხუთი თვის განმავლობაში საერთო პროდუქციის გეგმა შესრულებულია 102,2 პროცენტით.

მაისში სხვებზე უკეთესად იმუშავეს ფეხსაცმლის მრეწველობის საწარმოებმა, რომლებმაც გეგმა 107,3 პროცენტით შეასრულეს. თავიანთი დავალებანი გადაჭარბებით შეასრულეს ტყავეულის, ბეწვეულის, ტყაპუჭქურქის, სასარაჯო-საგალანტერიო მრეწველობის საწარმოებმა, ტყავის შემცვლელთა მრეწველობის საწარმოებმა, ნაბდის ნექმების, ნართის, ხარისხოვანი ჭურჭლის, რეზინის ფეხსაცმლის, ტრიკოტაჟის თეთრეულის დამამზადებელმა საწარმოებმა და სხვ. მთლიანად არ არის შესრულებული წინდის ნაწარმის გამოშვების გეგმა.

გასული წლის სათანადო პერიოდთან შედარებით მსუბუქმა მრეწველობამ 1947 წლის ხუთი თვის განმავლობაში ფეხსაცმლის გამოშვება გაადიდა 55 პროცენტით, ტრიკოტაჟის თეთრეულისა—53 პროცენტით, ხარისხოვანი ჭურჭლისა—68, წინდის ნაწარმისა — 75 პროცენტით. (საკდესი).

რიგის მრეწველობამ მაისისა და ხუთი თვის გეგმა გადაჭარბებით გაანაღდა

რიგა, 6 ივნისი. (საკდესი). ლატვიის დედაქალაქის მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკოსმა მუშაკებმა ოქტომბრის 30 წლისთავის აღსანიშნავად გაჩაღებულ შეჯიბრებაში ახალ წარმატებებს მიაღწიეს.

რიგის მრეწველობამ პროდუქციის გამოშვების გეგმა მაისში 119,2 პროცენტით შეასრულა. ხუთი თვის პროგრამა შესრულებულია 111,2 პროცენტით. ქალაქის 116 საწარმომ დაამთავრა ნახევარი წლის გეგმის შესრულება.

ინრრას უკრაინის მისიის მეთაური ბ-ნი პ. უაიტი უჟგოროდსა და ჩერნოვიცში ჩავიდა

ჩერნოვიცი, 5 ივნისი. (საკდესი). გუშინ უჟგოროდიდან აქ ჩამოვიდნენ ინრრას უკრაინის მისიის მეთაური ბ-ნი პ. უაიტი და მისი თანმხლები პირნი. აეროდრომზე ბ-ნ პ. უაიტს შეხვდნენ ჩერნოვიცის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. ა. ნ. გრიცაი და პრესის წარმომადგენლები.

ბ-ნი პ. უაიტი იმავე დღეს გაეცნო ქალაქის ისტორიულ ძეგლებს, დაათვალიერა, თუ რა ნგრევა მიუყენებიათ ქალაქისათვის გერმანელ ფაშისტ ოკუპანტებს. საღამოს ბ-ნი პ. უაიტი ჩერნოვიცის ებრაელთა სახელმწიფო დრამატულ თეატრში დაესწრო წარმოდგენას „აჯანყება გეტოში“.

1 ივნისს თბილისიდან მოსკოვს საგასტროლოდ ჩავიდა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი. სურათზე: შეხვედრა კურსკის ვაგზალზე. ცენტრშია სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ა. ა. ხორავა.
ფოტო ე. ევზერიხინისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

აკადემიკოსი ი. ს. ბერიტაშვილი—ამერიკის ელექტროენცეფალოგრაფიული საზოგადოების საპატიო წევრი

ამერიკის ელექტროენცეფალოგრაფიული საზოგადოების მდივნის—პროფესორ რობერტ შვაბისაგან მიღებულია ცნობა, რომ აკადემიკოსი ივანე სოლომონის-ძე ბერიტაშვილი საზოგადოების საორგანიზაციო სხდომაზე, რომელიც გამოჩენილი ამერიკელი მეცნიერის პროფესორ ჰერბერტ ჯასპერის თავმჯდომარეობით მიმდინარეობდა, ერთხმად იქნა არჩეული საზოგადოების საპატიო წევრად. საზოგადოებამ აირჩია სულ 19 საპატიო წევრი, რომელნიც წარმოადგენენ მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერებს. საზოგადოება დაარსდა ელექტროფიზიოლოგიისა და კლინიკური ნეიროფიზიოლოგიის საკითხთა შემდგომი დამუშავებისა და კოორდინაციის მიზნით.

ნიზამის დაბადების 800 წლისთავი

საიუბილეო კონფერენცია ბაქოში

ბაქო, 4 ივნისი. (საკდესი). აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის დარბაზში გაიხსნა დიდი აზერბაიჯანელი პოეტის ნიზამი განჯევის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი კონფერენცია. კონფერენციის მონაწილეთა შორის არიან — აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, უზბეკეთის, თურქმენეთის, ბალტიისპირეთისა და დაღისტნის მეცნიერი მუშაკები, ლიტერატურის მცოდნენი, პოეტები, მწერლები და მხატვრები.

კონფერენცია გახსნა ნიზამის დაბადების 800 წლისთავის აღსანიშნავად შექმნილი საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ, აზერბაიჯანის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ ამხ. მირზა იბრაჰიმოვმა. მოხსენება თემაზე: „აზერბაიჯანის საბჭოთა ლიტერატურა და ნიზამი“, — წაიკითხა აზერბაიჯანის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილმა წევრმა პოეტმა სამედ ვურგუნ ვექილოვმა. კონფერენცია რამდენიმე დღეს გაგრძელდება. მოსმენილ იქნება მოხსენებები: „ნიზამის პოეზია“, „XII საუკუნის აზერბაიჯანის საზოგადოება ნიზამის ნაწარმოებთა მიხედვით“, „ნიზამი და აზერბაიჯანული ფოლკლორი“, „ნიზამი და დასავლეთ ევროპის ლიტერატურა“ და სხვა.

მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურა

ლენინგრადი, 5 ივნისი. (საკდესი). 15 წელი შესრულდა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო პოპულარული ლიტერატურის სერიის გამომცემი კომისიის არსებობიდან.

ამ ხნის განმავლობაში გამოცემულ წიგნთა შორის დიდი ადგილი უჭირავს მეცნიერების — არქიმედის, ნიუტონის, ლობაჩევსკის, სეჩენოვისა და ტიმირიაზევის ბიოგრაფიულ ნარკვევებს. განყოფილებაში „მეცნიერების კლასიკოსები“ ამას წინათ გამოიცა ნიუტონის „ოპტიკის ლექციები“, ლუკრეციუსის „ნივთთა ბუნებისათვის“.

გამოცემულია აგრეთვე აკადემიკოსების: კრილოვის, ფერსმანის, კრაჩკოვსკის, მათემატიკოს კოვალევსკაიას და საპატიო აკადემიკოსების მოროზოვისა და გამალეის მოგონებანი.

მთელი რიგი უკვე გამოცემული მონოგრაფიები აშუქებენ თანამედროვე მეცნიერების უმნიშვნელოვანეს პრობლემებს.

ამჟამად მზადდება ახალი სამეცნიერო პოპულარული წიგნები, მათ შორის კოვალევსკაიას ნაშრომები მათემატიკაში, უმოვისა—ფიზიკაში, ბუტლეროვისა—ქიმიაში, აგრეთვე დარვინისა და ლავუაზიეს ბიოგრაფიები, ლებედევის ფიზიკა, განსვენებული აკადემიკოსის ორლოვის ნაშრომი „რუსი მწერლების ენა“.

სამოქალაქო საქმეთა განხილვა სასამართლოებში

სსრ კავშირის უმაღლესი სასამართლოს პლენუმმა მიიღო დადგენილება სამოქალაქო საქმეთა განხილვის დაჩქარების შესახებ. სასამართლოებს წინადადება მიეცათ მტკიცედ დაიცვან მოკავშირე რესპუბლიკების კოდექსების სათანადო მუხლები. უმაღლესმა სასამართლომ შეუწყნარებლად სცნო, რომ საქმეში ჩართულ იქნას არასწორად გაფორმებული, არსებით მნიშვნელობას მოკლებული საბუთები, რომელნიც საქმეს არ ეხებიან. კერძოდ, შეუწყნარებელია იმ თანამდებობის პირთაგან, დაწესებულებებისა და ორგანიზაციების წარმომადგენელთაგან მოსარჩლის, ან მოპასუხის დასაცავად რაიმე ხასიათის შუამდგომლობის მიღება, რომლებიც საქმეში არ მონაწილეობენ.

იმ შემთხვევაში, როცა საქმე ხელმეორედ შედის საკასაციო ინსტანციაში და ირკვევა, რომ აუცილებელია პირველი ინსტანციის სასამართლოს დადგენილების ხელმეორედ გაუქმება, ზემდგომმა სასამართლომ გადაწყვეტილების გაუქმებისას საქმე ხელახლა განსახილველად ქვემდგომ სასამართლოს კი არ უნდა გადასცეს, არამედ ვალდებულია ეს საქმე თვითონ განიხილოს პირველი ინსტანციით. (საკდესი).

ნოვი ტაგილის ბლუმინგის მშენებლობაზე

ნიჟნი ტაგილი, 6 ივნისი. (საკდესი). მიმდინარე წელს მწყობრში უნდა ჩადგეს ნოვო ტაგილის მეტალურგიული ქარხნის ბლუმინგი. ამჟამად სამშენებლო მოედანზე გაჩაღებულია მუშაობა. უკვე დამთავრებულია სამუშაო ყაფაზის მონტაჟი.

საექსპლოატაციო დარგის მუშაკები ვარაუდობენ 15 აგვისტოსათვის სასინჯად აამუშაონ მთელი მოწყობილობა, ხოლო ოქტომბრის 30 წლისთავისათვის ბლუმინგი პირველ პროდუქციას გამოუშვებს.

უზარმაზარი ვეშაპი

ვლადივოსტოკი, 5 ივნისი. (საკდესი). ვეშაპზე სანადირო ფლოტილიის გემები, მიუხედავად ძლიერი ნისლისა, ახერხებენ წარმატებით აითვისონ ახალი სარეწი რაიონები.

ვეშაპზე სანადირო გემ „ალეუტიდან“ მიღებულია რადიოგრამა ვეშაპებზე მონადირეთა იშვიათი წარმატების შესახებ. მეჭვილთე პანოვმა მოახერხა არაჩვეულებრივად დიდი ვეშაპის მოკვლა. ეს ოკეანის გოლიათი 90 ტონას იწონის. ამ ვეშაპის ერთი კბილის სიგრძე სამ მეტრს უდრის.

საქართველოს კ. პ. (ბ) მახარაძის რაიკომის პარტკაბინეტში, ამხანაგები გალინა მახულია, ლ. მალაზონია, შ. დობორჯგინიძე და ზ. ბურჟულაძე სწავლობენ მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა ნაშრომებს.

ფოტო რ. კაკოფესა

პარტიული ცხოვრება

პარტიული მუშაობის გაძლიერებით უზრუნველვყოფთ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებას

ჩვენი ქარხნის კოლექტივმა ლენინგრადელთა მოწოდების პასუხად იკისრა ვალდებულება 1947 წლის გეგმა შეასრულოს 7 ნოემბრისათვის, წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოუშვას 50 ჩარხი, აითვისოს სამი ახალი ტიპის ჩარხის წარმოება, შარშანდელთან შედარებით შრომის ნაყოფიერება გაზარდოს 9 პროცენტით, თვითღირებულება შეამციროს 10 პროცენტით, გასწიოს 120.000 კილოვატსაათი ელექტროენერგიის ეკონომია.

ეს სერიოზული ვალდებულებაა. ქარხნის პარტიული ორგანიზაციის ამოცანაა პარტიულ-პოლიტიკური და პარტიულ-ორგანიზაციული მუშაობით უზრუნველჰყოს ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულება.

რა ღონისძიებებს ვახორციელებთ ამისათვის?

პარტიული ბიუროს დადგენილებით ლენინგრადელთა მოწოდების გამოქვეყნების შემდეგ ყველა საამქროში მოეწყო მუშა-მოსამსახურეთა საერთო კრებები. კრებების მომზადებაში საამქროთა ხელმძღვანელებს ეხმარებოდნენ პარტიული ბიუროს წევრები და ქარხნის ინჟინერ-ტექნიკოსები. ამ კრებებზე, ჯერ ერთი, მოწინავე სტახანოველებმა, კერძოდ ა. ბენდიანიშვილმა, ე. სვანმა, პ. სალანიცინმა, ი. უკლოვმა, ე. ჩიხრაძემ და სხვებმა დამსწრეთ გაუზიარეს თავიანთი გამოცდილება, მოუთხრეს იმის შესახებ, თუ როგორ მუშაობენ ნაკისრ ვალდებულებათა განაღდებისათვის, ამავე დროს მათ იკისრეს წლიური საწარმოო დავალება 7 ნოემბრისათვის ერთიორად და ერთისამად შეესრულებინათ; მეორეც, კრებებზე მუშებმა წამოაყენეს საყურადღებო წინადადება, რომელთა განხორციელებაც დააჩქარებდა პროდუქციის გამოშვებას.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ქარხნის ყველა საამქრო, ბრიგადა, მუშა ჩაება. ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში კომუნისტები არიან. ყოველდღიურად მოწმდება, თუ ვინ როგორ ასრულებს პირობას. ქარხნის ეზოში მოწყობილია დაფა, რომელზეც სამუშაო დღის ბოლოს იწერება დაწინაურებულთა გვარები.

პარტიული, პროფესიული ორგანიზაციებისა და ქარხნის ადმინისტრაციის გადაწყვეტილებით იმ საამქროს კოლექტივისათვის, რომელიც უკეთეს მაჩვენებლებს მიიპოვებს, დაწესებულია გარდამავალი წითელი დროშა და 500 მანეთი ფულადი ჯილდო. მარტსა და აპრილში ეს დროშა ხელთ ეპყრა ამწყობი საამქროს კოლექტივს (საამქროს უფროსი მ. წეროძე, პარტიული ორგანიზაციის მდივანი ა. კანდელაკი). ამ საამქრომ ოთხი თვის დავალება შეასრულა 110,1 პროცენტით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 154 ჩარხისა გამოუშვა 173 ჩარხი.

პარტიულმა ბიურომ დროულად იზრუნა იმისათვის, რომ ჩვენი საწარმოს თვითეულ მუშაკს კარგად სცოდნოდა ქარხნის კოლექტივის საერთო ვალდებულებანი. პარტბიუროს გადაწყვეტილებით ყველა საამქროში ჩატარდა მოხსენება და გაიმართა საუბრები კიროველთა წინაშე დასახულ ამოცანებზე. ამავე საკითხს მიეძღვნა საერთო-საქარხნო კრებაც. მომხსენებლებად გამოვიდნენ საამქროთა უფროსები და პარტიული ორგანიზაციების მდივნები.

მთელი მასობრივ-სააგიტაციო მუშაობა ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულების ამოცანას დავუქვემდებარეთ. აგიტატორები საამქროებში ყოველდღიურად მართავენ საუბრებს იმის შესახებ, თუ როგორ სრულდება დავალებანი, უთითებენ შემჩნეულ ნაკლოვანებებზე. ამისათვის ისინი წინასწარ საფუძვლიანად ეცნობიან საამქროების მუშაობას, ყოველი მუშის წარმატებასა, თუ წარუმატებლობას, სწავლობენ მოწინავეთა გამოცდილებას, რათა სხვებს გადასცენ იგი. ქარხნის ტერიტორიაზე, საამქროებში გამოკრული ლოზუნგები და პლაკატები მუშებს მოუწოდებენ ნაკისრ ვალდებულებათა პირნათლად შესრულებისაკენ. საქარხნო და საამქროების კედლის გაზეთები აშუქებენ სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობას, ხელს უწყობენ მუშათა მთელი ძალების მობილიზაციას დასახული ამოცანების გადასაჭრელად.

სტახანოვური განრიგის შემოღება დიდად გვეხმარება მუშაობაში. პარტიულმა ორგანიზაციამ სტახანოვური განრიგის დანერგვისათვის სერიოზული მუშაობა გასწია. საკითხი, წინასწარ ღრმად შესწავლის საფუძველზე, პარტბიუროს სხდომაზე განვიხილეთ. მრავალი საინტერესო აზრი გამოითქვა. დადგენილებაში ზუსტად იქნა გათვალისწინებული ყველა შესაძლებლობა და საშუალება, რაც ჩვენს ქარხანას გააჩნია. დავსახეთ პოლიტიკური მუშაობის გაუმჯობესების ღონისძიებანიც. ახლა ჩვენი ქარხნის 300-ზე მეტი მუშა სტახანოვური განრიგით მუშაობს და წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს.

საწარმოში ტექნიკურ სიახლეთა დანერგვისათვის, რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის ფართოდ გაშლისათვის ბრძოლა პარტიული ორგანიზაციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მოვალეობაა. ქარხნის პარტბიურო ხშირად მსჯელობს ამ საკითხებზე. ამას წინათ რაციონალიზაციისა და გამომგონებლობის საკითხი პარტიულ კრებაზეც განვიხილეთ. მიღებული დადგენილების საფუძველზე ბევრი რამ გაკეთდა: გაიზარდა შრომის ნაყოფიერება, გაუმჯობესდა ტექნოლოგიური პროცესები, შემცირდა პროდუქციის თვითღირებულება, გაუმჯობესდა მისი ხარისხი. მაგალითად, მექანიკურ საამქროში გაიმართა მრავალმჭრელი სახარატო დაზგები, რამაც ერთიორად და ერთისამად გაადიდა შრომის ნაყოფიერება. ამავე საამქროში დაიდგა სიბრტყით მხნავი ჩარხი, რამაც შესცვალა მეშაბერე ზეინკლების მძიმე ფიზიკური შრომა და შრომის ნაყოფიერება ოთხჯერ და მეტად გაზარდა. ახლა ამ დაზგებზე მუშავდება რამდენიმე სხვადასხვა დეტალი, რომლებიც წინათ პრიმიტიული წესით მზადდებოდა. დაზგათმშენებელ საწარმოებში დიდი რაოდენობით მზადდება კბილანები, რომელთა თერმიული დამუშავება საკმაოდ რთულია, მოითხოვს დიდი რაოდენობის მუშახელსა და საწვავს. პარტიულმა ორგანიზაციამ ქარხნის დირექციასთან ერთად გადასწყვიტა საკუთარი ძალებით, მოწინავე ინჟინერ-ტექნიკური პერსონალის მუშაობით მოგვეწყო მაღალი სიხშირის დენის დანადგარი, რაც მნიშვნელოვნად გააადვილებდა კბილანების გამოშვების პროცესს. დანადგარი უკვე მოწყობილია და ახლა ქარხნისათვის საჭირო კბილანების 80 პროცენტი ახალი, გაადვილებული წესით მუშავდება.

პარტიული ბიუროს გადაწყვეტილების საფუძველზე მიმდინარე წლის დასაწყისში მოეწყო გამომგონებლობისა და რაციონალიზაციის ერთთვიური. მრავალი ახალი რაციონალიზატორული წინადადება შეგროვდა, გაიზარდა გამომგონებელთა რიცხვი. 4 თვის მანძილზე 110 წინადადება იქნა შემოტანილი, თითქმის ორჯერ მეტი, ვიდრე მთელი 1946 წლის განმავლობაში. ამ წინადადებათა განხორციელებით ქარხანა წლიურად იღებს 430.000 მანეთის ეკონომიას.

ადამიანებთან ყოველდღიური მუშაობით იზრდება წარმოების ნოვატორთა რიცხვი. ამჟამად ქარხანას 224 სტახანოველი, 120-მდე დამკვრელი, 122 ორასიანი ჰყავს. სასაქონლო პროდუქციის გამოშვების 5 თვის გეგმა შესრულებულია 122,2 პროცენტით, გეგმის გადამეტებით დამზადებულია 25 ჩარხი. ათვისებულია ახალი ტიპის 3 ჩარხის წარმოება. შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 13,7 პროცენტით, თვითღირებულება შემცირდა 8,4 პროცენტით.

ჩვენ კიდევ მეტად გავაძლიერებთ პარტიულ-პოლიტიკურ მუშაობას, მივაღწევთ იმას, რომ ქარხნის თვითეულ მუშაკს ღრმად ჰქონდეს შეგნებული თავისი საპატიო ამოცანა, ადმინისტრაციასთან მტკიცე კავშირით უზრუნველვყოფთ საწარმოს მიერ ნაკისრ ვალდებულებათა წარმატებით შესრულებას.

კ. გოგლიძე

კიროვის სახელობის თბილისის დაზგათმშენებელი ქარხნის პარტბიუროს მდივანი

პროპაგანდისტის დასახმარებლად

საბჭოთა ვაჭრობა ახალ სტალინურ ხუთწლედში

საბჭოთა ვაჭრობა გაცვლა-გამოცვლის განსაკუთრებული ფორმაა, რაც ახასიათებს მხოლოდ საბჭოთა სოციალისტურ საზოგადოებას. იგი საბჭოთა სოციალისტური ეკონომიკის დიდმნიშვნელოვანი იარაღია, რომელიც უზრუნველჰყოფს ნორმალურ ეკონომიურ გაცვლა-გამოცვლას სოციალისტურ საზოგადოებაში.

საბჭოთა ვაჭრობის არსი და აუცილებლობა განისაზღვრება წარმოების სოციალისტური საშუალების ბუნებით, სოციალისტური საწარმოო ურთიერთობის, კომუნიზმის პირველი ფაზის განვითარების თავისებურობებით.

„საბჭოთა ვაჭრობა, — გვასწავლის ამხანაგი სტალინი, — არის ვაჭრობა უკაპიტალისტებოდ — დიდი და პატარა კაპიტალისტების გარეშე, ვაჭრობა უსპეკულანტებოდ — დიდი და პატარა სპეკულანტების გარეშე. ეს განსაკუთრებული სახის ვაჭრობაა. რომელსაც დღემდე არ იცნობდა ისტორია და რომელიც შემოღებული გვაქვს მხოლოდ ჩვენ, ბოლშევიკებს, საბჭოთა განვითარების პირობებში“.

საბჭოთა ვაჭრობა ძირფესვიანად განსხვავდება კაპიტალისტური ვაჭრობისაგან. კაპიტალიზმის დროს ვაჭრობა ხორციელდება როგორც კერძო გაცვლა-გამოცვლა ბაზრის სტიქიურად მოქმედი კანონების საფუძველზე და ემსახურება მოგების რეალიზაციის მიზნებს, კაპიტალისტთა კლასის მიერ პროლეტარიატის ექსპლოატაციის მიზნებს. სოციალიზმის დროს, როცა მთელი სამეურნეო საქმიანობა წარმართულია სახალხო-სამეურნეო გეგმით, ვაჭრობა სოციალისტური მეურნეობის გეგმიანი ხელმძღვანელობის იარაღია. ამ იარაღს საბჭოთა სახელმწიფო შეგნებულად იყენებს სოციალისტური მშენებლობისათვის. სოციალისტური წყობილების პირობებში მან პრინციპულად, ძირფესვიანად შეიცვალა თავისი ფუნქციები და დანიშნულება.

სსრ კავშირში სოციალიზმის გამარჯვება, მის ეკონომიკაში მეურნეობის სოციალისტური ფორმების განუყოფელი ბატონობა მტკიცე საფუძველს იძლევა ჩვენს ქვეყანაში გაშლილი საქონელბრუნვისათვის, საბჭოთა ვაჭრობის ზრდისათვის. საბჭოთა ვაჭრობა სოციალიზმის პირობებში სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდის დიდმნიშვნელოვანი სტიმულია და, მაშასადამე, ხელს უწყობს მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებას. „ქვეყნის ეკონომიური ცხოვრება რომ მძლავრად სჩქეფდეს, ხოლო მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას თავისი პროდუქციის შემდგომი ზრდის სტიმული ჰქონდეს, — ხაზგასმით აღნიშნავდა ამხანაგი სტალინი ჯერ კიდევ 1934 წელს, — საჭიროა მოგვეპოვებოდეს კიდევ ერთი პირობა, სახელდობრ, გაშლილი **საქონელბრუნვა** ქალაქსა და სოფელს შორის, ჩვენი ქვეყნის რაიონებსა და ოლქებს შორის, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგს შორის“.

სტალინური ხუთწლედების განმავლობაში საქონელბრუნვის განვითარების დარგში მიღწეულ იქნა დიდი წარმატებები. უკვე პირველ ხუთწლედში საბოლოოდ იქნა ლიკვიდირებული კაპიტალისტური ელემენტები ვაჭრობაში. სოციალისტური სექტორი — სახელმწიფო ვაჭრობა, კოოპერაცია — გახდა ერთადერთი ფორმა, რომელიც განუყოფლად ბატონობს საქონელბრუნვაში. სტალინური ხუთწლედების მანძილზე (1928-დან 1940 წლამდე) სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 4,6-ჯერ გაიზარდა, სასურსათო და სამრეწველო საქონლის საბაზრო ფონდები მნიშვნელოვნად გადიდდა. საკოლმეურნეო წყობილების გამარჯვებით სოფლად წარმოიშვა და დიდად განვითარდა საბჭოთა ვაჭრობის ახალი სახე — საკოლმეურნეო ვაჭრობა; მისი მოცულობა 1933-დან 1940 წლამდე თითქმის ერთისამად გადიდდა. ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ზრდა და საქონელბრუნვის განვითარება უზრუნველჰყოფდნენ ჩვენი ქვეყნის მუშათა კლასისა და ყველა მშრომელის მდგომარეობის განუხრელ გაუმჯობესებას. მნიშვნელოვნად გაიზარდა სსრ კავშირის სახალხო შემოსავალი. ბევრად გაიზარდა კოლმეურნეთა ფულადი შემოსავალი. სახალხო მოხმარება მარტო მეორე ხუთწლედის განმავლობაში ერთიორად გადიდდა.

სსრ კავშირის ხალხთა მატერიალური კეთილდღეობის შემდგომი ზრდა შეწყვეტილ იქნა საბჭოთა კავშირზე ჰიტლერული გერმანიის ვერაგული ავაზაკური თავდასხმით.

იმისათვის, რომ უზრუნველეყო არმიის მომარაგება, საბჭოთა სახელმწიფო იძულებული გახდა ნორმალური საქონელბრუნვიდან საბარათო სისტემაზე გადასულიყო და შეეზღუდა მოსახლეობის მოხმარება ზურგში. მიუხედავად ომის დროის განსაკუთრებით მძიმე პირობებისა, მტრის მიერ ჩვენი ქვეყნის მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სასოფლო-სამეურნეო რაიონების დროებითი ოკუპაციისა, პარტიამ და მთავრობამ შესძლეს ომის დროს შეუფერხებლად მოემარაგებინათ სურსათით არმია და უდიდესი სამრეწველო ცენტრების მოსახლეობა, კერძოდ, უზრუნველეყოთ სახალხო მეურნეობის მთელი რიგი წამყვანი დარგების—ქვანახშირის, მეტალურგიის, ნავთის, ელექტროსადგურთა მუშაკების, სამხედრო მრეწველობისა და სხვა დარგების მუშათა უპირატესი მომარაგება.

მთელი დიდი სამამულო ომის მანძილზე შენარჩუნებულ იქნა ფასების ომამდელი დონე ძირითად ნორმირებულ სასურსათო და სამრეწველო საქონელზე. საბჭოთა კავშირი ერთადერთია ომგადახდილ ქვეყნებს შორის, სადაც ომის მთელ მანძილზე შენარჩუნებულ იქნა სტაბილური სახელმწიფო ფასები სასურსათო და უმნიშვნელოვანეს სამრეწველო საქონელზე.

მოსახლეობის პურითა და სხვა სახის სურსათით სახელმწიფო მომარაგების უზრუნველყოფა ომის დროს, ამ პროდუქტებით არმიის შეუფერხებელი მომარაგება შედეგია სოფლად მეურნეობის სოციალისტური ფორმების გამარჯვებისა. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები დაეხმარნენ საბჭოთა სახელმწიფოს ომის წინ შეექმნა პურისა და სხვა სახის სურსათისა და სასოფლო-სამეურნეო ნედლეულის აუცილებელი მარაგი. ომის დროს კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები შეუფერხებლად აძლევდნენ სახელმწიფოს მილიონობით ტონა პურს, ასეულ ათას ტონა ხორცს, რძესა და სხვა სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებს, რაც საჭირო იყო არმიისა და ზურგის მოსამარაგებლად.

* * *

ახალი სტალინური ხუთწლიანი გეგმა განსაკუთრებული მნიშვნელობის ამოცანებს სახავს საბჭოთა ხალხის მატერიალური ცხოვრების დონის ამაღლების საქმეში, საქონელბრუნვის განვითარების საქმეში. ომისშემდგომი ხუთწლედის დამლევისათვის გადაჭარბებულ უნდა იქნას სახალხო შემოსავლისა და ხალხის მოხმარების ომამდელი დონე. ხუთწლედის პირველ წლებში უნდა მოხდეს მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმება, ლიკვიდირებულ იქნას ფასების სხვადასხვაობა და განხორციელდეს გაშლილ საბჭოთა ვაჭრობაზე გადასვლა ერთიანი სახელმწიფო ფასებით. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1950 წელს უნდა შეადგენდეს 275 მილიარდ მანეთს (1945 წლის ფასების დონის შემცირების გათვალისწინებით), ე. ი. 1940 წელთან შედარებით 28 პროცენტით გაიზრდება. ძირითადი სასურსათო საქონლის საბაზრო ფონდები ხუთი წლის განმავლობაში გაიზრდება საშუალოდ 23 პროცენტით ომამდელ დონესთან შედარებით, ხოლო უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საქონლისა — საშუალოდ 36 პროცენტით.

საქონელბრუნვის განვითარების მატერიალური ბაზა უზრუნველყოფილი იქნება სოფლის მეურნეობის, მსუბუქი, კვების, აგრეთვე ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის პროდუქციის ზრდით, რაც ხუთწლიანი გეგმით არის დასახული.

ახალ სტალინურ ხუთწლედში განსაკუთრებული ყურადღება აქვს მიქცეული ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდებას. სოფლის მეურნეობის საერთო პროდუქციის მოცულობა ხუთწლედის დამლევისათვის ომამდელ დონესთან შედარებით გაიზრდება 27 პროცენტით, მარცვლეულის საერთო მოსავალი — 7 პროცენტით, შაქრის ჭარხლის მოსავალი — 22 პროცენტით, მზესუმზირას მოსავალი—11 პროცენტით, ნედლი ბამბის მოსავალი — 25 პროცენტით. ზრდის მაღალი ტემპია დასახული მეცხოველეობის დარგშიც.

კვების პროდუქტებისა და ფართო მოხმარების საგნების მწარმოებელი მრეწველობის პროდუქციის საშუალო წლიური ზრდა ომისშემდგომ ხუთწლედში შეადგენს 17 პროცენტს, რაც აღემატება მრეწველობის ამ ჯგუფის ზრდის ტემპს ომამდელ ხუთწლედებში. ხორცის წარმოება 1950 წელს მიაღწევს 1.300 ათას ტონას, ცხიმებისა — 1.155 ათას ტონას, შაქრისა — 2.400 ათას ტონას, ფქვილისა — 19 მილიონ ტონას, თევზის ჭერა — 2.200 ათას ტონას, საგრძნობლად გადიდდება უმნიშვნელოვანესი სამრეწველო საქონლის წარმოება: ბამბის ქსოვილებისა—4.786 მილიონ მეტრამდე, შალისა — 168 მილიონ მეტრამდე.

უკვე 1946 წელს, ახალი ხუთწლედის პირველ წელს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომისიის ცნობით, მიღწეულია ფართო მოხმარების მთელი რიგი საგნების წარმოებისა და საბაზრო სასაქონლო ფონდების მნიშვნელოვანი გადიდება. საცალო საქონელბრუნვის მოცულობა ამ ხნის განმავლობაში გაიზარდა 30 პროცენტით (შესადარ ფასებში), სასურსათო საქონლის გაყიდვა გაიზარდა 15 პროცენტით და სამრეწველო საქონლისა — 85 პროცენტით 1945 წელთან შედარებით.

1947 წლის პირველ კვარტალში, გასული წლის პირველ კვარტალთან შედარებით, კიდევ უფრო გაიზარდა სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოება. მაგალითად, ბამბის ქსოვილების წარმოება გადიდდა 40 პროცენტით, შალისა — 45 პროცენტით, ტყავის ფეხსაცმლისა — 51 პროცენტით, რეზინის ფეხსაცმლისა— 116 პროცენტით, წინდებისა — 66 პროცენტით, ერბო-კარაქისა—69 პროცენტით, თევზის ჭერა — 35 პროცენტით.

საცალო საქონელბრუნვის მოცულობა 1947 წლის პირველ კვარტალში, 1946 წლის პირველ კვარტალთან შედარებით, 25 პროცენტით გაიზარდა.

ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება და საქონელბრუნვის გაფართოება საბჭოთა სახელმწიფოს განუწყვეტელი ზრუნვის საგანია. საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილება „ომისშემდგომ პერიოდში სოფლის მეურნეობის აღმავლობის ღონისძიებათა შესახებ“, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 23 დეკემბრის დადგენილება „მოსახლეობისათვის ფართო მოხმარების საგნების დამამზადებელი სახელმწიფო მსუბუქი მრეწველობის განვითარების დაჩქარების შესახებ“, და 1946 წლის 9 ნოემბრის დადგენილება ქალაქებსა და დაბებში კოოპერაციული ვაჭრობის განვითარებისა და კოოპერაციული წარმოების გაფართოების შესახებ არის ახალი მკაფიო დადასტურება მთავრობის ყოველდღიური ზრუნვისა იმისათვის, რომ შეიქმნას მატერიალური ბაზა საბჭოთა ვაჭრობის გასაშლელად, რომ ამაღლდეს მშრომელთა საარსებო დონე.

* * *

საბჭოთა ვაჭრობა საბჭოთა ადამიანების ეკონომიური საქმიანობის მრავალმხრივი და რთული დარგია. სავაჭრო ორგანიზაციების მოქნილობას, ოპერატიულობას, ყაირათიანობას, მათ უნარს დარაზმონ გამოუყენებელი რესურსები, დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი სტალინური ხუთწლედის დავალებათა შესრულებისათვის. საბჭოთა ვაჭრობის ყველა არხის მაქსიმალურად გამოყენებას და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ყველა წყაროს გამოვლინებას უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენს ქვეყანაში საქონელბრუნვის ზრდისათვის. სწორედ ამიტომ ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს, რომ საქონელბრუნვაში, გარდა ცენტრალიზებული ფონდებისა, მოქცეულ იქნას მნიშვნელოვანი სასაქონლო რესურსები სავაჭრო ორგანიზაციების საკუთარი დამხმარე მეურნეობების პროდუქციის ხარჯზე (ლორის გამოკვება, თევზის ჭერა და სხვა), საქონლის დეცენტრალიზებული შესყიდვის ხარჯზე, აგრეთვე ადგილობრივი და კოოპერაციული მრეწველობის პროდუქციის ხარჯზე. ამ ამოცანების განსახორციელებლად დიდი მნიშვნელობა აქვს ამხანაგ სტალინის ინიციატივით მიღებულ მთავრობის 1946 წლის 9 ნოემბრის დადგენილებას ქალაქებსა და დაბებში სურსათისა და სამრეწველო საქონლის კოოპერაციული ვაჭრობის გაშლისა და კოოპერაციული საწარმოების მიერ სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდების შესახებ. კოოპერაციული ორგანიზაციები ჩვენს ქვეყანაში დიდ ძალას წარმოადგენენ. სსრ კავშირში არის 28 ათასი სამომხმარებლო კოოპერატივი, რომლებიც აერთიანებენ 36 მილიონზე მეტ მეპაიეს. უკანასკნელ დრომდე კოოპერაცია არ იყო მთლიანად გამოყენებული ფართო მოხმარების საგნების წარმოების გასადიდებლად და საბჭოთა ვაჭრობის ყოველმხრივ განსავითარებლად. სამომხმარებლო კოოპერაციამ არსებითად შეწყვიტა ვაჭრობა და თავისი როლი შემოფარგლა სახელმწიფოსაგან მიღებული სასაქონლო ფონდების განაწილებით. სარეწაო კოოპერაცია და ინვალიდთა კოოპერაცია, როგორც წესი, თავიანთ პროდუქციას არ ჰყიდდნენ საკუთარი სავაჭრო ქსელის მეშვეობით და ამით დაჰკარგეს კავშირი მომხმარებელთან და ამიტომ ვერ გრძნობდნენ მოსახლეობის მოთხოვნილებებს. კოოპერაციული ორგანიზაციები არ ვაჭრობდნენ ქალაქად.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 9 ნოემბრის დადგენილება მოასწავებს ახალ ეტაპს საერთოდ საბჭოთა ვაჭრობისა და განსაკუთრებით კოოპერაციული ვაჭრობის განვითარებაში. ქალაქებსა და დაბებში კოოპერაციული ვაჭრობის ზრდა სპობს ქალაქად სახელმწიფო ვაჭრობის მონოპოლიურ მდგომარეობას, მოასწავებს სახელმწიფო და კოოპერაციულ მოვაჭრე ორგანიზაციებს შორის ჯანსაღი „კონკურენციის“ წარმოშობას, რამაც ძირფესვიანად უნდა გააუმჯობესოს საბჭოთა მომხმარებლის მომსახურება. ამან ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ვაჭრობის მოწყობაში არსებულ დიდ ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, განსაკუთრებით არასაწარმოო ხარჯების ლიკვიდაციას.

მინისტრთა საბჭოს 1946 წლის 9 ნოემბრის დადგენილება მიმართულია იქითკენ, რომ გაძლიერდეს ადგილობრივი სამეურნეო ინიციატივა ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ყოველმხრივი გადიდების მიზნით. უკვე პირველი ნაბიჯები მის სარეალიზაციოდ მოწმობენ კოოპერაციული ვაჭრობისა და კოოპერაციული წარმოების გაშლების უდიდეს დადებით მნიშვნელობას. 1947 წლის 1 აპრილისათვის კოოპერაციულმა ორგანიზაციებმა და ადგილობრივმა მრეწველობამ ქალაქებსა და მუშათა დაბებში გახსნეს 15,5 ათასი მაღაზია და ფარდული, 2,7 ათასი საზოგადოებრივი კვების საწარმო.

ამავე დროს უკვე ახლავე ჩანს თავს სერიოზული ნაკლოვანებანი და დამახინჯებანი კოოპერაციული ვაჭრობის მოწყობის საქმეში, რაც მჟღავნდება ზოგიერთი კოოპერატივის მისწრაფებაში შეისყიდოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტები არა შორეულ პუნქტებში, არამედ ქალაქის საკოლმეურნეო ბაზრებში, ამ საქონლით ვაჭრობა მოაწყოს პირველ რიგში არა მსხვილ სამრეწველო ცენტრებში, არამედ პატარა ქალაქებსა და დაბებში. შესყიდვებში ჩაბმული არ არის სასოფლო სამომხმარებლო ორგანიზაციების უმრავლესობა, რომლებიც ამ მუშაობაში ძირითად რგოლს უნდა წარმოადგენდნენ. ჯერ კიდევ სუსტად არის გაშლილი მოსახლეობისათვის ისეთი უაღრესად საჭირო პროდუქტების ყიდვა-გაყიდვა, როგორიცაა ბოსტნეული და კარტოფილი. არ არის მოწყობილი სოფლად სამრეწველო საქონლის შემხვედრი ნაკადი.

საბჭოთა სახელმწიფოს ღონისძიებანი კოოპერაციული ვაჭრობისა და კოოპერაციული წარმოების გაშლების დარგში მოითხოვენ ყველა კოოპერაციული ორგანიზაციის — სამომხმარებლო კოოპერაციის, სარეწაო კოოპერაციის, ინვალიდთა კოოპერაციის— მუშაობის ძირფესვიანად გარდაქმნას. ქალაქებსა და დაბებში კოოპერაციული ვაჭრობა არის არა დროებითი კამპანია, არამედ მუდმივი მყარი ვაჭრობა, გათვალისწინებული ხანგრძლივი ვადით და მოწოდებული იმისათვის, რომ დიდმნიშვნელოვანი როლი შეასრულოს პირველი ომისშემდგომი ხუთწლედის დავალებათა შესრულებაში

* * *

ახალი ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს საბაზრო სასაქონლო ფონდების დიდ ზრდას, მოხმარების ომამდელი დონის გადაჭარბებას, საბარათო სისტემის გაუქმებას და ნორმალური საქონელბრუნვის დაბრუნებას. საბარათო სისტემა გარდუვალი ბოროტება იყო, როცა სწარმოებდა დიდი ომი და საჭირო ხდებოდა ზურგში მოსახლეობის მოხმარების შეზღუდვა, რათა უზრუნველყოფილიყო არმიის მომარაგება ფრონტზე. მშვიდობიან პირობებში საბარათო სისტემის საჭიროება აღარ არის, და ფასების სხვადასხვაობა წარმოადგენს ბოროტებას, რომელიც უკუგდებულ უნდა იქნას იმისათვის, რათა კვლავ მოეწყოს ნორმალური საქონელბრუნვა და წარმოებისა და მოხმარების ყოველმხრივ განვითარება. მაგრამ ამ გადასვლის განსახორციელებლად საჭიროა სსრ კავშირის ყველა მშრომელის დაძაბული შრომა დანგრეული სახალხო მეურნეობის აღსადგენად, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გასადიდებლად.

1946 წელს ომით გამოწვეულ სიძნელეებს დაემატა კიდევ სერიოზული სიძნელეები, რაც დაკავშირებული იყო დიდ გვალვასთან სსრ კავშირის ევროპული ნაწილის მთელ რიგ დიდმნიშვნელოვან სასოფლო-სამეურნეო რაიონებში, რამაც გამოიწვია სურსათის სახელმწიფო რესურსების შემცირება და საჭირო გახადა პურის პროდუქტებით მომარაგების საბარათო სისტემის გაუქმების გადადება 1946 წლიდან 1947 წლისათვის, აგრეთვე მთელი რიგი სხვა ღონისძიებების გატარება სურსათის ეკონომიური ხარჯვისათვის. 1946 წელს განხორციელდა ნორმირებული სასურსათო საქონლის ახალ სახელმწიფო საცალო ფასებზე გადასვლა, რის საფუძველზეც გაუქმდება მომარაგების საბარათო სისტემა. საბჭოთა სახელმწიფოს ეს ღონისძიებანი აუცილებელი გარდამავალი ეტაპია ნორმალური საქონელბრუნვის დაბრუნებისათვის. ისინი აჯანსაღებენ ბაზას, განამტკიცებენ ფულის ბრუნვას და ჰქმნიან წანამძღვარებს ერთიან სახელმწიფო ფასებზე გადასასვლელად, რომელთა თანმიმდევრული შემცირება ომისშემდგომი ხუთწლიანი გეგმის დიდმნიშვნელოვანი შემადგენელი ნაწილია. იმ ერთიანი სახელმწიფო ფასების, რომლებიც შემოღებული იქნება ბარათების გაუქმებასთან დაკავშირებით, თანმიმდევრული შემცირების რეალური ეკონომიური საშუალებაა სურსათისა და ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გადიდება სახელმწიფო, კოოპერაციული და ადგილობრივი მრეწველობის მიერ.

საბარათო სისტემის გაუქმება გულისხმობს დიდი მოსამზადებელი მუშაობის ჩატარებას — სავაჭრო ქსელში და მოხმარების ადგილების სამრეწველო ბაზებში საჭირო სასაქონლო მარაგის შექმნას, სავაჭრო ქსელის, განსაკუთრებით პურის სავაჭრო ქსელის გაფართოებას, სავაჭრო მუშაკების კადრების გადამზადებას, სავაჭრო ორგანიზაციების სატრანსპორტო საშუალებებით უზრუნველყოფას. საბჭოთა ვაჭრობის დიდი და რთული ამოცანების გადასაწყვეტად საჭიროა პარტიული ორგანოების ყოველდღიური დახმარება და კონტროლი სავაჭრო ორგანიზაციების მუშაობისადმი, სავაჭრო საწარმოებისა და დაწესებულებების გაწმენდა იქ გამძვრალი გაიძვერებისაგან, ქურდებისა და მტაცებლებისაგან, სავაჭრო ორგანიზაციების განმტკიცება პატიოსანი, შემოწმებული ბოლშევიკური კადრებით.

სტალინური ხუთწლიანი გეგმის დავალებათა წარმატებით შესრულება საბჭოთა ვაჭრობის დარგში უდიდესი ნაბიჯი იქნება წინ, საბჭოთა ხალხის საარსებო დონის ამაღლების, მისი მატერიალური კეთილდღეობის ზრდის საქმეში.

პ. მოსკვინი

ქობულეთის რაიონის ციხისძირის საბჭოთა მეურნეობამ დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით იკისრა ვალდებულება მოიყვანოს 22 მილიონი ციტრუსოვანთა ნაყოფი 1946 წელს მიღებული 16 მილიონის ნაცვლად. სურათზე: (მარცხნიდან მარჯვნივ) ვ. მუჯირი და პ. გრაშავოი ციტრუსების პლანტაციაში თიბავენ ბალახს. სასუქის შეტანა მანდარინის ხისქვეშ, მარჯვნივ დგას ნ. მუჯირი. პლანტაციის თოხნა, მარჯვნივ ფ. კეკეხკიშვილი. თვითეული მათგანი ყოველდღიურ დავალებას 250-300 პროცენტით ასრულებს.

ფოტო რ. აკოფოვისა

კოლმეურნეები იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის

დიდი სტალინისათვის გაგზავნილი წერილით ქობულეთის რაიონის მშრომელებმა იკისრეს წელს სახელმწიფოს ჩააბარონ 5.100 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი და 220 მილიონი ცალი ციტრუსოვანთა ნაყოფი ანუ 10 პროცენტით მეტი შარშანდელთან შედარებით.

რა კეთდება ნაკისრ ვალდებულებათა შესასრულებლად? ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის გადაწყვეტილებით და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1947 წლის 29 მარტის ბრძანებულებით აღფრთოვანებული კოლმეურნეები, საბჭოთა მეურნეობების მუშები ენერგიულად მუშაობენ უხვი მოსავლის მოსაყვანად.

ციტრუსოვანთა პლანტაციებში დამთავრდა ძირების ირგვლივ ნიადაგის შემობარვა, ფოსფოროვანი და აზოტოვანი სასუქის შეტანა. წარმატებით მიმდინარეობს პლანტაციების თოხნა. მთავრდება ბორდოს სითხით წამლობა, 1.500 ათასი ძირი სრულასაკოვანი ნარგავის დამულჩვა და წუნწუხით მორწყვა. ხეებზე ნაყოფის შენარჩუნების უზრუნველსაყოფად პლანტაციები დამატებით განოყიერდება აზოტოვანი სასუქით, შლამით, ტორფითა და ტუნგის ნარჩენებით.

ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის ბრძოლაში მოწინავეა მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა. ციტრუსის ყველა სამუშაო აქ დროულად და მაღალხარისხოვნად მიმდინარეობს. კოლმეურნეობა წელს ქვეყანას მისცემს 4 მილიონ 700 ათას ცალ ციტრუსოვანთა ნაყოფს, ერთი მილიონი ცალით მეტს შარშანდელთან შედარებით.

ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობის შესასრულებლად საუკეთესოდ მუშაობს ლენინის ორდენოსანი ოსმან დავითაძე, რომელიც კალინინის სახელობის კოლმეურნეობის მეციტრუსეთა ბრიგადას ხელმძღვანელობს. ბრიგადაში სწორად მოაწყეს შრომა. ხეები მოსავლელად ცალკეულ კოლმეურნეებს აქვთ მიჩენილი.

ლენინის სახელობის კოლმეურნეობის მეორე ბრიგადის წევრი დურსუნ კაიკაციშვილი დიდი მზრუნველობით უვლის მისთვის მიჩენილ 950 ძირ ხეს და პირობას იძლევა, რომ საშუალოდ ერთ ხეზე მიიღებს 1.120 ცალ ნაყოფს, სულ კი—1.165.000 ცალს.

სტურუას სახელობის კოლმეურნეობაში მეციტრუსე სულეიმან ხალვაში თავდადებით მუშაობს, რომ მისთვის მიჩენილი 500 ძირი მანდარინის თვითეულ ხეზე მოჰკრიფოს 1.500 ცალი, ხოლო 1.300 ძირი ლიმონის თვითეულ ხეზე—400 ცალი ნაყოფი.

მეოთხე სტალინური ხუთწლიანი გეგმით რაიონში უნდა გაშენდეს 920 ჰექტარი ახალი პლანტაცია. შარშან 116 პროცენტით შესრულდა ციტრუსოვანთა გაშენების გეგმა. წელს გაშენდა 78 ჰექტარი ლიმონისა და 41,2 ჰექტარი ფორთოხლის ახალი პლანტაცია. 1948 წელს ციტრუსები გაშენდება 240 ჰექტარზე. ამისათვის ნიადაგი ახლა მზადდება. სტანდარტული ნერგების გამოყვანის უზრუნველსაყოფად სანერგეებში წელს დაირგო 1.440.000 საძირე ტრიფოლიატი.

ჩაის ფოთლის აპრილ-მაისის გეგმა რაიონმა წარმატებით შეასრულა. მოწინავე კოლმეურნეობებს დიდი ვალდებულება აქვთ ნაკისრი. მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობა პირობას იძლევა 10 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 8.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი. ჩაისუბნის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის ვალდებულებაა გეგმის გადამეტებით მოჰკრიფოს 50 ათასი კილოგრამი ჩაი.

იზრდება ჩაის კრეფის ოსტატთა რიგები. კალინინის სახელობის კოლმეურნეობის წევრები მელექ ბერიძე და გალინა ჩხარტიშვილი საუკეთესოდ უვლიან მათთვის მიჩენილ ჩაის პლანტაციას. ისინი პირობას იძლევიან თვითეულ ჰექტარზე 15 ათასი კილოგრამი ჩაის ფოთოლი მოჰკრიფონ. აჭარის ასს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი გულხანუმ კონცელიძე, რომელიც ლენინის სახელობის კოლმეურნეობაში მუშაობს, არ იშურებს ენერგიას, რათა სასახელოდ შეასრულოს პირობა—ერთ ჰექტარ პლანტაციაში მოჰკრიფოს და სახელმწიფოს ჩააბაროს 10.500 კილოგრამი ჩაი. სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეშვიდე ბრიგადის მერგოლეურმა აიშე ქიქავაძემ იკისრა მისი რგოლისათვის მიჩენილი 3 ჰექტარი პლანტაციის თვითეულ ჰექტარზე მოჰკრიფოს 10.000 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

კოლმეურნე გლეხობა ენერგიულად იბრძვის მარცვლეულის უხვი მოსავლის მოყვანისათვისაც. ვადაზე ადრე დამთავრდა საგაზაფხულო ხვნა-თესვა. სიმინდი დათესილია 2.200 ჰექტარზე. კოლმეურნეები გულმოდგინედ უვლიან ნათესს. მიქოიანის სახელობის კოლმეურნეობა მთელ რიგ ღონისძიებებს ახორციელებს იმისათვის, რომ 18 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე მოიყვანოს 420 ფუთი სიმინდი. რაიონის მშრომელები იბრძვიან 60 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 420 ფუთის, ხოლო დანარჩენი 2.140 ჰექტარი ფართობის თვითეულ ჰექტარზე 86 ფუთი სიმინდის მოყვანისათვის. (გეგმა 62 ფუთს ითვალისწინებს).

პარტიის რაიონული კომიტეტი სისტემატურად იხილავს მშრომელთა მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შესრულების მიმდინარეობას, სახავს კონკრეტულ ღონისძიებებს ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის.

გადადგმულია პირველი სერიოზული ნაბიჯები ამხანაგ სტალინისათვის მიცემული პირობის შესასრულებლად, მაგრამ გასაკეთებელი ჯერ კიდევ ბევრია. საჭიროა კიდევ უფრო გავაძლიეროთ ბრძოლა, რათა წარმატებით შევასრულოთ სოფლის მეურნეობის აღმავლობის სტალინური პროგრამა.

კ. რუსიშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ექსტერნატები თეატრალურ ინსტიტუტებთან

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა ხელოვნების საქმეთა კომიტეტმა გადაწყვიტა მომავალი სასწავლო წლიდან ლენინგრადის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტის, თბილისის რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრალური ინსტიტუტისა და კიევის კარპენკო-კარის სახელობის ინსტიტუტის თეატრმცოდნეობის ფაკულტეტებთან სახელოვნო დაწესებულებათა მუშაკების კვალიფიკაციისა და თეორიული მომზადების დონის ასამაღლებლად დაარსდეს ექსტერნატები. ექსტერნების რიცხვი თვითეული ინსტიტუტისათვის განსაზღვრულია 50 კაცით. ექსტერნებად პირველ რიგში მიღებულ იქნებიან სახელოვნო დაწესებულებათა და წარმოებათა ხელმძღვანელი მუშაკები.

ფეხბურთი

გუშინ, 6 ივნისს, მოსკოვში „დინამოს" ცენტრალურ სტადიონზე შესდგა ფეხბურთში სსრ კავშირის 1947 წლის პირველობის გათამაშების მორიგი კალენდარული შეხვედრა. ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „ცდკა" და „ტორპედო".

შეხვედრა მოიგო „ცდკამ", ანგარიში—1:0.

ჩამორჩენილი კოლმეურნეობები ავიყვანოთ მოწინავეთა დონემდე

შარშან სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის 418 კოლმეურნეობიდან მოსავლიანობის გეგმა არ შეუსრულებია 363 კოლმეურნეობას, აქედან 60 კოლმეურნეობამ თვითეულ ჰექტარზე საშუალოდ 5 ცენტნერი მარცვლეული მიიღო. განსაკუთრებით დაბალი მოსავალი მოიყვანეს ჯავის რაიონის კოლმეურნეობებმა. 10,2 ცენტნერის ნაცვლად თვითეულ ჰექტარზე მათ მიიღეს 6,5 ცენტნერი მარცვლეული. ზნაურის რაიონის სოფელ ქვემო ქვიაგინის კოლმეურნეობამ ჰექტარზე საშუალოდ მხოლოდ 4,4 ცენტნერი მარცვლეული მიიღო, ამავე რაიონის სოფელ ვახტანის კოლმეურნეობამ — 3,8 ცენტნერი.

რა თქმა უნდა, ოლქში არიან უხვი მოსავლისათვის მებრძოლი მოწინავე კოლმეურნეობები, რომლებმაც კარგ შედეგებს მიაღწიეს, მაგრამ ასეთები ჯერ კიდევ ცოტაა.

წელს მთელმა რიგმა კოლმეურნეობებმა სათანადო დასკვნები არ გამოიტანეს შარშანდელი გამოცდილებიდან, გააჭიანურეს საგაზაფხულო ხვნა-თესვა. განსაკუთრებით ჩამორჩა საკვები ბალახებისა და სიმინდის თესვა. არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს თავთავიანი მარცვლეული კულტურების მარგვლა. ოლქში თავთავიანი კულტურების ნათესი 25.100 ჰექტარია. აქედან 25 მაისისათვის გამარგლული იყო მხოლოდ 7.051 ჰექტარი. სათანადო ყურადღება არ ექცევა თესლბრუნვის დანერგვას. ავნევის (ზნაურის რაიონი) და წინაგრის (ლენინგორის რაიონი) სასოფლო საბჭოების კოლმეურნეობებში დაარღვიეს თესლბრუნვის წესები, ზოგიერთ ნაკვეთებზე დათესეს ისეთი კულტურები, რომლებიც თესლბრუნვით გათვალისწინებული არ იყო.

განსაკუთრებით დაბალია ოლქში კარტოფილის მოსავლიანობა. გასულ წელს კოლმეურნეობებმა საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 36 ცენტნერი კარტოფილი, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 80 ცენტნერისა. კარტოფილის ასეთი დაბალი მოსავლიანობა ძირითადად გამოწვეულია აგროწესების გაუტარებლობით. წელსაც ოლქის ზოგიერთმა კოლმეურნეობამ გააჭიანურა კარტოფილის რგვა.

მეცხოველეობის განვითარებას ოლქში სერიოზული ყურადღება ექცევა. განსაკუთრებით ეს ითქმის ჯავისა და ლენინგორის რაიონების კოლმეურნეობებზე. მაგრამ ნაკლოვანებებიც არის. სტალინირის რაიონის კოლმეურნეობებში უკანასკნელ წლებში მუშა საქონლის სულადობა შემცირდა 2,7 პროცენტით. მეცხოველეობის განვითარების გეგმა არა აქვს შესრულებული ზნაურის რაიონსაც. გარდა ამისა, მთლიანად ოლქში ჯერ კიდევ დაბალია პირუტყვის პროდუქტიულობა.

ჯერ კიდევ მთლიანად არ არის აღმოფხვრილი სასოფლო-სამეურნეო არტელის სტალინური წესდების დამახინჯებანი. ჯავის რაიონის გოიათიყაუს კოლმეურნეობის წევრებმა არსენ და ანტონ გოიაევებმა, იოსებ კუსრაევმა პირადი სარგებლობისათვის დაამუშავეს ის ნაკვეთები, რომლებიც მათ კანონიერად ჩამოაჭრეს გასულ წელს. სოფელ ჯავის კოლმეურნეობისათვის სხვადასხვა პირებს ჯერ კიდევ არ დაუბრუნებიათ 3,5 ჰექტარი მიწა.

ჯავის რაიონის ყემულთის, ცაგატის, ხალივდონის და ნაზიგის კოლმეურნეობებში მოუწესრიგებელია აღრიცხვა, კოლმეურნეთა შრომის წიგნაკებში დაგვიანებით შეაქვთ გამომუშავებული შრომადღეები. არის შემთხვევა, როცა სოფლის მეურნეობის კადრებს არადანიშნულებისამებრ იყენებენ. მაგალითად, 1946 წელს სტალინირის ზოოტექნიკური ტექნიკუმი 20 კაცმა დაამთავრა, რომელთაგან სპეციალობის მიხედვით მუშაობს მხოლოდ 5 კაცი. ტექნიკუმდამთავრებული ლ. თედეევი მუშაობს ჯავის რაიაღმასკომის ფინგანში, გიორგი ჩეხოევი ზნაურის რაისაბჭოს აღმასკომის ფინგანში მოეწყო, ქ. კუჩმაზოვი სტალინირის სახელმწიფო თეატრში მუშაობს ბაიანის დამკვრელად.

საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის თებერვლის პლენუმის დადგენილების განხორციელება ბევრად არის დამოკიდებული სოფლად პარტიულ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერებაზე, სოციალისტური შეჯიბრებისადმი ცოცხალ და კონკრეტულ ხელმძღვანელობაზე. ამ მხრივ ოლქისა და რაიონების ხელმძღვანელებს დიდი მუშაობა დასჭირდებათ.

ამ დღეებში შესდგა საქართველოს კ. პ. (ბ) სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პლენუმი, რომელმაც გამოააშკარავა მთელი რიგი ნაკლოვანებანი ოლქის კოლმეურნეობათა მუშაობაში და დასახა კონკრეტული ღონისძიებანი მათი გამოსწორებისათვის.

ვლ. გელაშვილი

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

ირღვევა ჩაის ფოთლის კრეფის წესები

წულუკიძის რაიონმა ჩაის ფოთლის კრეფის აპრილ-მაისის დავალება დიდი გადაჭარბებით შეასრულა, მაგრამ როგორია ხარისხი? მოკრეფილი ფოთლიდან პირველი ხარისხისაა 165.472 კილოგრამი, მეორე ხარისხისა — 9.722 კილოგრამი, ხოლო მესამე ხარისხისა—1.817 კილოგრამი.

მეორე და მესამე ხარისხის ფოთლის მიღება ამჟამად უპირველეს ყოვლისა კრეფის დაგვიანების შედეგია. ავიღოთ, მაგალითად, მახარაძის სახელობის კოლმეურნეობა. მას მშვენივრად მოვლილი ჩაის პლანტაცია აქვს. ჩაის ბუჩქები უხვ მოსავალს იძლევიან. 25 მაისისათვის ამ კოლმეურნეობამ თვიური დავალება 170,7 პროცენტით შეასრულა, მაგრამ კოლმეურნეობაში დანერგილი არ არის განუწყვეტელი კრეფა. 26 მაისს პირველი ბრიგადის პლანტაციებში კარგად იყო შემოსული ჩაის ფოთოლი, მაგრამ საკრეფად არავინ გამოსულა. დანარჩენ ბრიგადებში მხოლოდ 2-3 მკრეფავი იყო სამუშაოზე. 28 მაისს მკრეფავები მასობრივად გამოვიდნენ პლანტაციებში, მაგრამ ამ დღეს ფოთოლი უკვე გაუხეშებული იყო და მოკრეფილ იქნა 116 კილოგრამი მესამე ხარისხის ჩაი.

განუწყვეტელი კრეფა დანერგილი არ არის წულუკიძის სტურუას სახელობის კოლმეურნეობაშიც. ამის გამო აქ ასობით კილოგრამი პირველი ხარისხის ჩაის ფოთოლი იკარგება. ამ კოლმეურნეობაში სტახანოვურ ნაკვეთს ცუდად უვლიან მატრონა მელქაძე და ვერა ხობუა.

— კრეფის წესები კარგად არ ვიცი იმიტომ, რომ ეს ჩემთვის არ უსწავლებიათ, — განაცხადა მკრეფავმა ვერა ხობუამ.

წულუკიძის მოლოტოვის სახელობის კოლმეურნეობაში ჩაის ფოთოლი უხვადაა მოსული, მაგრამ იგი ყოველდღიურად არ იკრიფება. 26 მაისს ამ კოლმეურნეობაში მარტო 6 მკრეფავი მუშაობდა. გარდა ამისა, მინდვრად არ არის მოწყობილი წვიმის დროს თავშესაფარი ფარდულები. კოლმეურნეებს 8 კილომეტრის მანძილზე უხდებათ პლანტაციებში სიარული.

ორჯონიკიძის სახელობის კოლმეურნეობას აქვს აზოტის საკმაო მარაგი, მაგრამ იგი არ შეუტანია პლანტაციის საგრძნობ ნაწილში. ამის გამო მრავალი ბუჩქი მცირე მოსავალს იძლევა.

ჩაის ფოთლის კრეფის წესებს არღვევენ სოფელ გუბის ბერიას სახელობის კოლმეურნეობაში. 29 მაისს ამ კოლმეურნეობის პლანტაციებში 80 მკრეფავის ნაცვლად სამუშაოდ მარტო 4 მკრეფავი გამოვიდა. მკრეფავები ნადია ვაშაკიძე და მარო გეგუჩაძე კალთაში იყრიდნენ მოკრეფილ ჩაის ფოთოლს. კოლმეურნეობაში სუსტია შრომის დისციპლინა. აქ 37 შრომისუნარიან კოლმეურნეს წელს 10-ზე ნაკლები შრომადღე აქვს გამომუშავებული, ხოლო 12 კოლმეურნეს სრულიად არ მიუღია მონაწილეობა საკოლმეურნეო შრომაში. კოლმეურნეობას არ შეუსრულებია ჩაის ფოთლის კრეფის მაისის დავალება. მოკრეფილი ჩაის ფოთლის 45 პროცენტი მეორე და მესამე ხარისხისაა.

აქედან სჩანს, რომ წულუკიძის რაიონში ნაკლებ ყურადღებას აქცევენ ჩაის ფოთლის კრეფის წესების დაცვას.

ერ. ხარებავა

„კომუნისტის" საკუთარი კორესპონდენტი

გერმანიის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის ინგლისური კომიტეტი აკრიტიკებს ინგლისისა და ამერიკის ზონების შეერთებას

4 ივნისი. (საკდესი). გერმანიის ინგლისურ და ამერიკულ ზონებში ეკონომიური საბჭოს შექმნასთან დაკავშირებით, გერმანიის დემოკრატიზაციისათვის ბრძოლის ინგლისურმა კომიტეტმა თავის ბიულეტენში გამოაქვეყნა სტატია, რომელიც შეიცავს ინგლისისა და ამერიკის ზონების შეერთების კრიტიკას.

სტატიაში ნათქვამია, რომ დასავლეთი გერმანიის წინაშე არ არის გახსნილი „ახალი გზა" და რომ გაჭირვება დღითი დღე მატულობს. „ამერიკელთა იდეები ფედერალიზაციის შესახებ აქეზებენ ადგილობრივ ეგოისტურ ინტერესებს, ხოლო წვრილმანმა მეტოქეობამ შეუძლებელი გახადა ეფექტიანი ეკონომიური დაგეგმვა და წარმოებისა და განაწილების დემოკრატიული კონტროლის დამყარება. ზონების შეერთება ამხნევებს რეაქციონერებს, ნაცისტებს და ნაციზმის ახლომდგომ ადამიანებს, რომლებსაც ჯერ კიდევ გაბატონებული მდგომარეობა უკავიათ სოფლის მეურნეობასა და მრეწველობაში. მსხვილი მემამულეები, რომლებიც ცხოვრობენ „კერძო თაოსნობის" პრინციპის თანახმად და მდიდრდებიან შავ ბაზარზე, ამჟამად უფრო უშიშრად გრძნობენ თავს, ვიდრე წინათ. ქრისტიანი დემოკრატები, რომელნიც მიწის რეფორმისა და ნაციონალიზაციის წინააღმდეგი არიან, უფრო ძლიერდებიან სამხრეთ გერმანიაში და ამერიკელ ხელისუფალთა სრული მხარდაჭერით სარგებლობენ. შავი ბაზარი ნთქავს არა მარტო სურსათს, რომელიც მუშათა კლასს აკლია, არამედ აგრეთვე ფართო მოხმარების სამრეწველო საქონელსაც, რაც ფაბრიკებიდან პირდაპირ შავ ბაზარში მიდის. გერმანელი ექსპერტის დოქტორ ბუშმანის ცნობების თანახმად, პროდუქციის 70 პროცენტი სწორედ ამნაირად ნაწილდება".

სტატია ეხება სოციალ-დემოკრატიული და კომუნისტური პარტიების გაერთიანებას აღმოსავლეთ ზონაში და აღნიშნავს: „ამ შეერთებამ არ გამოიწვევია ერთი პარტიის ავტორიტარული ბატონობის შექმნა, როგორც მუშათა კლასის ერთიანობის მტრები ამტკიცებდნენ, არამედ მას მოჰყვა მტკიცე ერთიანობა ყველა დემოკრატიული ძალებისა, რომლებსაც ერთიანი მუშათა კლასი მეთაურობს. დასავლეთ გერმანიის პოლიტიკურად შეგნებულმა მუშებმა გაიგეს, რომ გაერთიანებულ სოციალისტურ მოძრაობას დიდი მიღწევები აქვს საბჭოთა ზონაში, და ბუნებრივია, სურთ ამ მაგალითს მიბაძონ. ეს წარმოადგენს მთელ გერმანიაში ერთიანი სოციალისტური პარტიის შექმნისათვის მოძრაობის საფუძველს".

მაგრამ ეს მოძრაობა, ნათქვამია შემდეგ სტატიაში, ორ დიდ დაბრკოლებას აწყდება თავის გზაზე. ჯერ-ერთი, სოციალ-დემოკრატიული პარტიის მარჯვენა ფრთის ლიდერები ორივე ზონაში შეუპოვრად ეწინააღმდეგებიან ერთიანობისაკენ გადადგმულ რაიმე ნაბიჯს, და, მეორე, ინგლისისა და ამერიკის სამხედრო ადმინისტრაცია უარს ამბობს დაუშვას თავის ზონებში ერთიანი სოციალისტური პარტიის არსებობა.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო-საშტაბო კომიტეტში

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამხედრო-საშტაბო კომიტეტმა გამოაქვეყნა კომუნიკე, სადაც გამოაცხადა, რომ მას შემდეგ, რაც ამას წინათ უშიშროების საბჭოს წარედგინა მოხსენება იმ შეიარაღებული ძალების ორგანიზაციის პრინციპების შესახებ, რომლებიც გადაცემულ უნდა იქნას უშიშროების საბჭოს განკარგულებაში, კომიტეტი იხილავდა საკითხს იმ მუშაობის შესახებ, რაც შეიძლება ჩატარდეს მანამდე, სანამ საბჭო ამ მოხსენების გამო გადაწყვეტილებას მიიღებდეს. განხილვის შედეგად კომიტეტმა შეჰქმნა ქვეკომიტეტი ასეთი შეიარაღებული ძალების რაოდენობისა და შემადგენლობის საკითხის არაოფიციალური განხილვისა და მასზე რეკომენდაციების შემუშავებისათვის.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინის საკითხის შემსწავლელი კომისიის სხდომა

ნიუ-იორკი, 3 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის სამდივნომ გამოაცხადა, რომ პალესტინის საკითხის შემსწავლელმა სპეციალურმა კომისიამ გუშინ, 2 ივნისს, ჩაატარა დახურული საინფორმაციო სხდომა, რომელზეც მიღებულ იქნა ერთსულოვანი გადაწყვეტილება იმის შესახებ, რომ ევროპაში ადგილგადანაცვლებულ პირთა ბანაკების დათვალიერების საკითხი უნდა გადაწყდეს მას შემდეგ, რაც კომისია პალესტინაში ჩავა. კომისიამ განიხილა 15 ორგანიზაციის თხოვნა მათი იმ აზრების მოსმენის შესახებ, რომლებიც კომისიას გადასცა გენერალური ასამბლეის ამ ცოტა ხნის წინათ დამთავრებულმა სპეციალურმა სესიამ. კომისიამ გადასწყვიტა თხოვნით მიმართოს თვითეულ ამ ორგანიზაციას — 6 ივნისამდე წარადგინონ წერილობითი განცხადებანი. მიღებული პასუხის საფუძველზე კომისია გადასწყვეტს, უნდა მოუსმინონ თუ არა ამათუიმ ორგანიზაციას მანამდე, სანამ კომისია პალესტინაში გაემგზავრებოდეს, რაც განზრახულია 10 ივნისისათვის.

ნიუ-იორკი, 4 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის პალესტინის საკითხის შემსწავლელმა სპეციალურმა კომისიამ 3 ივნისის დახურულ სხდომაზე დაამთავრა პროცედურის ყველა წესის მიღება. კომისიამ გამოაცხადა, რომ ყველა სხდომას მოაწყობს საჯაროდ, თუ აუცილებელი არ გახდა სხდომების სხვა წესით მოწყობა. კომისიამ მოიწონა კომუნიკე, რომელიც გამოქვეყნდება პალესტინის პრესაში და რომელშიც ნათქვამია, რომ კომისია ვარაუდობს პალესტინაში ჩავიდეს ივნისის მეორე კვირაში და მიიღოს წერილობით და სიტყვიერად ორგანიზაციათა და ცალკე პირთა განცხადებანი.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმაციისა და პრესის თავისუფლების საკითხის ქვეკომისიის მუშაობა

ნიუ-იორკი, 4 ივნისი. (საკდესი). გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმაციისა და პრესის თავისუფლების საკითხის ქვეკომისია 3 ივნისს განაგრძობდა ქვეკომისიის მოხსენების პროექტის განხილვას, რომელიც წარედგინება ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს და ადამიანის უფლებათა საკითხის კომისიას. დილის სხდომაზე ქვეკომისიამ ერთხმად მოიწონა საფრანგეთის წარმომადგენელ ჟეროს წინადადება, რომ ინფორმაციისა და პრესის თავისუფლების საკითხთა მომავალი საერთაშორისო კონფერენციის დღის წესრიგში შეტანილ იქნას იმ განსხვავებათა საკითხი, რომლებიც უნდა გატარდეს საკუთარ ქვეყნებში მომუშავე კორესპონდენტების, საინფორმაციო სააგენტოების წარმომადგენლების და სხვების უფლებათა და უცხოელი კორესპონდენტების უფლებათა შორის. ჟერომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ასეთი ზღვარის გავლება საჭიროა, რადგან, თუ არ მოხერხდა უცხოელი კორესპონდენტების უფლებათა შეზღუდვა იმ ქვეყნების მთავრობათა საქმეებში ჩარევის მხრივ, სადაც ისინი იმყოფებიან, საფრთხე შეექმნება ამ ქვეყნების სუვერენულ უფლებებს.

საღამოს სხდომაზე ქვეკომისიამ დაიწყო ინფორმაციის თავისუფლების ცნების საკითხის ზოგადი განხილვა.

საფრანგეთის წარმომადგენელმა ჟერომ გააკრიტიკა პრესის მუშაობა ამ უკანასკნელი ორმოცი წლის მანძილზე დასავლეთის ქვეყნებში და განაცხადა, რომ შეერთებული შტატების, ინგლისისა და საფრანგეთის პრესამ უგულებელჰყო თავისი როლი მშვიდობის დამყარების საქმეში.

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმაციისა და პრესის თავისუფლების საკითხის ქვეკომისიის სესიის დასკვნითი სხდომა

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ინფორმაციისა და პრესის თავისუფლების საკითხის კომისიის დასკვნით სხდომაზე ქვეკომისიამ ათი ხმით ერთი ხმის წინააღმდეგ მოიწონა პროექტი მოხსენებისა, რომელიც მისი სახელით წარედგინება გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიურ და სოციალურ საბჭოს. მოხსენება შეიცავს საერთაშორისო კონფერენციის წინასწარ დღის წესრიგს. შეტანილია შემდეგი საკითხები: საერთო დისკუსია ინფორმაციის თავისუფლების პრინციპთა შესახებ; განხილვა ძირითადი პრინციპებისა, რომლებითაც უნდა ხელმძღვანელობდნენ პრესა, რადიო, კინო და ინფორმაციის სხვა საშუალებანი ახალი ამბებისა და ინფორმაციის შეკრებას, გადაცემისა და გავრცელების თავიანთი ძირითადი ფუნქციების შეუფერხებელი განხორციელების დროს; ახალი ამბებისა და ინფორმაციის საერთაშორისო გადაცემის გაადვილების ღონისძიებანი; ყველა პირისა და ხალხისათვის ზუსტი და ამომწურავი ინფორმაციის მიღების უფლებათა გარანტირების ღონისძიებანი; ღონისძიებანი, რომლებიც ითვალისწინებენ მუდმივი აპარატის შექმნას, უპირატესად გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ფარგლებში. მართალი ინფორმაციის თავისუფალი გავრცელების ხელშესაწყობად განხილვა პრობლემებისა, რომლებიც შეეხებიან მთავრობების, პიროვნებათა ჯგუფების და ცალკეული პირების მიერ სხვა ქვეყნებში ინფორმაციის გასავრცელებლად საინფორმაციო სამსახურის შექმნას, გარდა ამ ქვეყნების საკუთარი საინფორმაციო სამსახურისა; განხილვა მოქმედების შესაძლო საშუალებათა, რომელთა დახმარებითაც ინფორმაციისა და პრესის თავისუფლების საკითხთა საერთაშორისო კონფერენციის რეკომენდაციები და შეთანხმებანი შეიძლება შესრულებულ იქნას ყველაზე უფრო ეფექტიანად, ან გენერალური ასამბლეის მიერ რეზოლუციათა მიღების გზით, ან საერთაშორისო კონვენციათა, ორმხრივ შეთანხმებათა გზით, ქვეყნების მიერ კონფერენციის შემუშავებული კანონმდებლობის ნიმუშად მიღებით, ან სხვა საშუალებით.

ქვეკომისია რჩევას იძლევა აგრეთვე, რომ ეკონომიურმა და სოციალურმა საბჭომ დაადგინოს, თუ სად იქნას მოწვეული ინფორმაციისა და პრესის თავისუფლების საკითხთა საერთაშორისო კონფერენცია და წინადადება შეაქვს, რომ ეს კონფერენცია მოწვეულ იქნას ევროპაში 1948 წლის მაისში ან აპრილში.

უშიშროების საბჭოს სხდომა

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. (საკდესი). გუშინ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის უშიშროების საბჭოში დაიწყო საერთო კამათი სამხედრო შტაბის კომიტეტის მოხსენების გამო. კამათში გამოვიდნენ ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელი ჯონსონი და ბელგიის წარმომადგენელი ვან ლანგენჰოვე. მოხსენების განხილვა გაგრძელდება 6 ივნისს.

გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ორგანიზაციის შექმნა გერმანიის ოკუპაციის ინგლისურ ზონაში

ბერლინი, 5 ივნისი. (საკდესი). გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" იუწყება, რომ დორტმუნდში (ოკუპაციის ინგლისური ზონა) შეიქმნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის ორგანიზაცია. საორგანიზაციო კრებას დაესწრო 200-ზე მეტი დელეგატი. გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის ყოფილი რაიონული ხელმძღვანელი დილინი თავის სიტყვაში ლაპარაკობდა მუშათა პარტიების ერთიანობის საჭიროებაზე. კრებამ ერთხმად მიიღო გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პროგრამა. არჩეულ იქნა ორგანიზაციის გამგეობა.

ბერლინი, 5 ივნისი. (საკდესი). ადნის სააგენტო გადმოგვცემს, რომ ჰამბურგში შეიქმნა გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის პირველი საორგანიზაციო კომიტეტი.

ᲔᲢᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲗᲔᲛᲗᲐ ᲞᲐᲚᲐᲢᲐᲨᲘ ᲘᲜᲓᲝᲔᲗᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ლონდონი, 4 ივნისი. (საქტაგი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, გუშინ პრემიერ-მინისტრმა ეტლიმ განცხადება გააკეთა თემთა პალატაში ინდოეთის საკითხის შესახებ. ეტლიმ ჩამოაყალიბა ინგლისის გეგმა ინდოეთის მიმართ და სთქვა, რომ ეს გეგმა შეიცავს „ერთი ან ორი მემკვიდრეობითი ორგანოსადმი დომინიონის სტატუსის შეთავაზებას".

ეტლი შეეხო ინდოეთის საბოლოო კონსტიტუციის შემუშავების საკითხს და განაცხადა, რომ ინგლისის მთავრობას განზრახვა არა აქვს შეაწყვეტინოს ახლანდელი დამფუძნებელი კრების მუშაობა. „ახლანდელი დამფუძნებელი კრების მიერ შემუშავებული ვერც ერთი კონსტიტუცია, — დასძინა ეტლიმ, — ვერ იქნება გამოყენებული ქვეყნის იმ ნაწილის მიმართ, რომელსაც არ სურს მისი მიღება".

ეტლიმ განაცხადა, რომ ბენგალიისა და პენჯაბის პროვინციულ საკანონმდებლო კრებებს (ევროპელთა გამოკლებით, რომელნიც ამ კრებათა შემადგენლობაში შედიან) წინადადება მიეცემათ შეიკრიბონ ორ შემადგენლობად. მათგან ერთი იქნება მუსლიმანური უმრავლესობის რაიონების, ხოლო მეორე პროვინციის დანარჩენი ნაწილის წარმომადგენელი. თვითეული საკანონმდებლო კრების ორივე შემადგენლობის წევრები, რომლებსაც სხდომები ექნებათ ცალ-ცალკე, უფლებამოსილი იქნებიან კენჭისყრით გადასწყვიტონ საკითხი იმის შესახებ, გაყოფილ უნდა იქნას თუ არა ესა თუ ის პროვინცია. თუ საკანონმდებლო კრების ორივე შემადგენლობის უბრალო უმრავლესობა გადაწყვეტილებას მიიღებს გაყოფის სასარგებლოდ, გაყოფა მოხდება და განხორციელდება სათანადო ღონისძიებანი.

სინდის საკანონმდებლო კრება (კრების წევრ ევროპელთა გამოკლებით) სპეციალურ სხდომაზე აგრეთვე მიიღებს გადაწყვეტილებას იმის შესახებ, ახლანდელი დამფუძნებელი კრება შეიმუშავებს მის კონსტიტუციას თუ ახალი კრება.

ჩრდილო-დასავლეთ საზღვრისპირა პროვინციის შესახებ ეტლიმ განაცხადა: მხედველობაში ვღებთ რა მის გეოგრაფიულ მდებარეობას და სხვა ფაქტორებს, ცხადია, რომ, თუ მთელი პენჯაბი ან რომელიმე მისი ნაწილი გადასწყვეტს არ შეუერთდეს ახლანდელ დამფუძნებელ კრებას, აუცილებელი იქნება ჩრდილო-დასავლეთ საზღვრისპირა პროვინციას საშუალება მიეცეს რეფერენდუმის გზით განიხილოს თავისი პერსპექტივები. შემდეგ ეტლიმ ილაპარაკა ინდოეთის მთელი რიგი სხვა პროვინციების მოწყობის შესახებ.

დასასრულ ეტლიმ განაცხადა: ინგლისის მთავრობას განზრახვა აქვს წინასწარ განსაზღვროს ინდოელებისათვის ხელისუფლების გადაცემის თარიღი (1948 წლის ივნისი) „დამოუკიდებელი ინდოეთის მთავრობის, ან უფრო, მთავრობების შექმნის" გზით. ინგლისის მთავრობას განზრახული აქვს აგრეთვე პარლამენტის მიმდინარე სესიის განმავლობაში გაატაროს კანონი ინდოელებისათვის ხელისუფლების გადაცემის შესახებ მიმდინარე წელს ერთი ან ორი მემკვიდრეობითი ორგანოსათვის დომინიონის სტატუსის მინიჭების საფუძველზე ამ გადაწყვეტილებათა თანახმად, რომლებიც მიღებულ იქნება ამ განცხადების შედეგად. „ეს, — ეტლის სიტყვით, — არ შებღალავს ინდოეთის დამფუძნებელი კრებების უფლებებს — თავის დროზე გადასწყვიტონ საკითხი იმის შესახებ, უნდა დარჩეს თუ არა ერთი ბრიტანული თანამეგობრობის ფარგლებში ინდოეთის ის ნაწილი, რომელშიც ისინი მოქმედებენ".

ლონდონი, 4 ივნისი. (საქტაგი). ინგლისის გაზეთი „დეილი უორკერი" აკრიტიკებს ინგლისის მთავრობის გეგმას ინდოეთის შესახებ და სწერს: „ეს არაბუნებრივი გაყოფაა, რომელიც უმთავრესად ორ დიდ რელიგიურ საზოგადოებას ემყარება; იგი უარყოფს ეკონომიურ და პოლიტიკურ ერთიანობას, არ ეხება იმ სამთავროების დამოუკიდებელ ფეოდალურ ხელისუფლებას, რომელთაგანაც ყველაზე ძლიერნი უშუალო კავშირს დაიკავებენ ინგლისთან. მთელი გეგმა ისეა აგებული, რომ გენერალ-გუბერნატორმა შეასრულოს როლი უზენაესი არსებისა, რომელიც განაგებს მის ქვემოთ მდგომ მილიონობით ადამიანთა ბრძოლას. ხელისუფლების გადაცემის ეს გეგმა ლეიბორისტულ-კონსერვატიული გეგმაა და არა ინდოეთისა, რასაც ერთი ხელით აძლევენ, მეორეთი ართმევენ. მისი დამახასიათებელი ნიშანია დაქუცმაცება. უშუალო საფრთხე ისაა, რომ კვლავ შეიძლება იფეთქოს მღელვარებამ. ეს, რა თქმა უნდა, არ შეაწუხებს იმ ინგლისელ პოლიტიკოსებსა და მემარჯვენე ინდოელ ნაციონალისტებს, რომლებიც ამ მღელვარებას იყენებენ როგორც მთავარ საბუთს „დაყოფისა და ბატონობის" თავისი პოლიტიკის გასამართლებლად.

დასასრულ გაზეთი სწერს, რომ ეს გეგმა ვერ სწყვეტს „ინდოეთის ვერც ერთ ეკონომიურ და პოლიტიკურ პრობლემას ან საზოგადოებათა შესახებ პრობლემას. იგი არ არის აგრეთვე წვლილი მთელი მსოფლიოს მშვიდობისა და ინგლის-ინდოეთის ურთიერთობის გაუმჯობესების საქმეში. ინდოეთის მასები განაგრძობენ ბრძოლას,—როგორც ინდუსები, ისე მუსლიმანები, — ისინი მიისწრაფვიან თავისუფლებისაკენ, რაზედაც მათ ჯერ კიდევ უარს ეუბნებიან".

ᲡᲢᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲐ

ნიუ-იორკი, 4 ივნისი. (საქტაგი). 2 ივნისს „მანჰეტენ სენტრის" 750 მუშაკის კრებაზე სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა ჟურნალისტმა სტილმა. იგი შეეხო ამას წინათ საბჭოთა კავშირსა და აღმოსავლეთ ევროპაში თავის მგზავრობას და სთქვა, რომ საბჭოთა კავშირს სურს და კიდევაც უნდა ჰქონდეს მშვიდობა. სტილმა გააკრიტიკა შეერთებული შტატების საგარეო პოლიტიკა და განაცხადა, რომ „ტრუმენის დოქტრინა „საარსებო სივრცის" ჰიტლერული თეორიის ამერიკულ ნაირსახეობას წარმოადგენს". სტილის სიტყვით, მოსკოვის კონფერენციაზე მწვავედ დაისვა გერმანიის კარტელთა სისტემისადმი კონტროლის საკითხი და დელეგაციის მრჩეველს რესპუბლიკელ დალეს, რომელიც ამერიკის საბანკო საკარტელო სისტემის წარმომადგენელია, ეკუთვნოდა ვეტოს უფლება სახელმწიფო მდივნის მარშალის გადაწყვეტილებათა მიმართ. სტილი კონფერენციის დროს მოსკოვში მყოფ ამერიკის შეერთებული შტატების 36 კორესპონდენტთაგან 26 კორესპონდენტს ბრალად სდებს, რომ მათ თავი არ შეიწუხეს დაეწერათ რამე კონფერენციის შესახებ, რომ ისინი მოსკოვში დროს ჰკარგავდნენ „მეშუარების" წერაზე. ერთი კორესპონდენტი, სტილის სიტყვით, იმასაც კი ცდილობდა, რომ სენსაცია გამოეწვია: ღამით კრემლის ირგვლივ დადიოდა ჯიბის ელექტროფარნით, იმედი ჰქონდა, რომ ამ გზით პროვოკაციულად გამოიწვევდა დაპატიმრებას. ამერიკის პრესამ, სთქვა სტილმა, თვითონ მოისურვა გადაეწყვიტა, როგორი კორესპონდენტები უნდა შეეშვა საბჭოთა კავშირს, და იქ გაგზავნა ბევრი კორესპონდენტი, რომლებიც კომპეტენტური არ არიან საერთაშორისო საქმეებში და მხოლოდ მკვლელობათა და სპორტის რეპორტაჟის გამოცდილება აქვთ.

აღმოსავლეთ ევროპაში ახალი დემოკრატიული რეჟიმების შესახებ სტილმა განაცხადა: „ეს ხალხები იბრძოდნენ და ფაშიზმის წინააღმდეგ ომი მოიგეს. მათ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მიაღწიონ ანტიფაშისტურ მშვიდობას".

სტილმა მოუწოდა დამსწრეთ წერილობითი პროტესტი განუცხადონ რადიოსადგურებს, რომლებიც რეაქციონერ კომენტატორებს იყენებენ, და სთხოვონ დართონ ლიბერალ კომენტატორთა გამოსვლების ნება. (რადიოსადგურებმა ამასწინათ სამუშაოდან გადააყენეს რამდენიმე ლიბერალი კომენტატორი, მათ შორის სტილი).

ᲞᲠᲔᲡ-ᲙᲝᲜᲤᲔᲠᲔᲜᲪᲘᲐ ᲢᲠᲣᲛᲔᲜᲗᲐᲜ

ვაშინგტონი, 5 ივნისი. (საქტაგი). უპასუხა რა პრეს-კონფერენციაზე კორესპონდენტების შეკითხვაზე, პრეზიდენტმა ტრუმენმა მეტად მკაცრი შეფასება მისცა უნგრეთში შექმნილ პოლიტიკურ მდგომარეობას და განაცხადა, რომ ამჟამად ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო დეპარტამენტი „სრულ გამოკვლევას" აწარმოებს. ტრუმენმა განაცხადა, რომ საბერძნეთის არმიისადმი დახმარების პროგრამის განხორციელების ამერიკის შეერთებული შტატების მისიის ხელმძღვანელად საბერძნეთში დანიშნულია ნებრასკას შტატის ყოფილი გუბერნატორი რესპუბლიკელი დუაიტ გრისუოლდი. პრეზიდენტმა გამოაცხადა აგრეთვე, რომ ამერიკის წითელი ჯვრის ვიცე-თავმჯდომარე რიჩარდ ფრეზერ ალენი დანიშნულია ინრრას მოღვაწეობის დამთავრების შემდეგ უცხო სახელმწიფოთათვის 350 მილიონი დოლარის დახმარების კანონის საფუძველზე საბერძნეთისადმი დახმარების აღმოჩენის ადმინისტრატორად.

ტრუმენის განცხადებით მას ჯერ კიდევ არ გადაუწყვეტია საკითხი ოსმალეთში მისიის ხელმძღვანელის დანიშვნის შესახებ.

თხოვნაზე, კომენტარი გაუკეთოს კანზას-სიტში კონგრესის ყოფილი წევრის სლოტერის დამარცხების დროს ხმების დათვლისას ჩადენილი სიყალბის გამოკვლევას, ტრუმენმა სთქვა, რომ გამოკვლევა ბოლომდე უნდა გაგრძელდეს. ტრუმენმა აქვე დასძინა, რომ ეს საკითხი მას ჯერ არ განუხილავს იუსტიციის მინისტრ კლარკთან ერთად.

ტრუმენმა ხელახლა მოუწოდა (უმთავრესად მრეწველებს), რომ „ნებაყოფლობით შეამცირონ ფასები" საქმიანი მოღვაწეობის და ამერიკის საბოლოო სარგებლობისათვის.

ᲣᲝᲚᲔᲡᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. (საქტაგი). როგორც ასოშეიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი რალეიდან (ჩრდილო კაროლინის შტატი) იუწყება, ყოფილმა ვიცე-პრეზიდენტმა უოლესმა პრესის წარმომადგენლების შეკითხვაზე განაცხადა: მე მხარს არ დავუჭერ, რომ ტრუმენის კანდიდატურა წამოყენებულ იქნას პრეზიდენტად ხელახლა არჩევის მიზნით. შეკითხვაზე, ფიქრობს თუ არა იგი მესამე პარტიის ჩამოყალიბებას, უოლესმა უპასუხა: „მე ვაკეთებ ყველაფერს, რაც კი შემიძლია, რათა დემოკრატიული პარტია ლიბერალური გავხადო. თუ დემოკრატიული პარტია გადაიქცევა ომის პარტიად, რეაქციისა და დეპრესიის პარტიად—მე არ დავრჩები მის წევრად".

ᲑᲣᲥᲐᲠᲔᲡᲢᲨᲘ ᲒᲐᲘᲮᲡᲜᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲠᲣᲛᲘᲜᲔᲗᲘᲡ ᲘᲜᲡᲢᲘᲢᲣᲢᲘ

ბუქარესტი, 6 ივნისი. (საქტაგი). 3 ივნისს ბუქარესტში საზეიმო ვითარებაში გაიხსნა საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ინსტიტუტი. საზეიმო სხდომის პრეზიდიუმში იყვნენ პრემიერ-მინისტრი პეტრუ გროზა, სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ქავთარაძე, მოკავშირეთა საკონტროლო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი სუსაიკოვი, პატრიარქი ალექსი, პროფესორი ნიკოლაუ, აკადემიკოსი პარხონი, პროფესორი როსეტი. დარბაზში იყვნენ მინისტრები თეოხარი ჯორჯესკუ, პატრაშკანუ, ლევენიანუ, ბაგდასარი, აგრეთვე რუმინული მეცნიერებისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწეები.

შესავალ სიტყვაში ინსტიტუტის დირექტორმა პროფესორმა ნიკოლაუმ აღნიშნა, რომ „ინსტიტუტის დაარსება სსრ კავშირისა და რუმინეთის მეგობრული ხალხებისათვის ურთიერთ გაცნობისა და თანამშრომლობის ახალ ფართო შესაძლებლობებს ჰქმნის". ნიკოლაუმ განაცხადა, რომ ჯერ კიდევ ოფიციალურ გახსნამდე ინსტიტუტმა დიდი მუშაობის გაწევა შესძლო. გამოცემულია ჟურნალ „რუმინეთ-საბჭოთა კავშირის მატიანეს" ოთხი ნომერი. ივლისში გამოშვებული იქნება რუსული ენის 50 მასწავლებელი. პრემიერ-მინისტრმა პეტრუ გროზამ თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ „საბჭოთა კავშირ-რუმინეთის ინსტიტუტი რუმინეთ-საბჭოთა კავშირის საუკუნოვანი მეგობრობის ახალი რგოლი გახდება".

შემდეგ გამოვიდა სსრ კავშირის ელჩი რუმინეთში ს. ი. ქავთარაძე, რომელმაც ინსტიტუტს უსურვა ნაყოფიერი მუშაობა რუმინეთ-საბჭოთა კავშირის შემდგომი დაახლოების საქმეში.

მისასალმებელი სიტყვები წარმოსთქვეს აგრეთვე პატრიარქმა ალექსიმ, „არლუსის" პრეზიდენტმა აკადემიკოსმა პარხონმა და ბუქარესტის უნივერსიტეტის რექტორმა პროფესორმა როსეტიმ.

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲓᲘᲓ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲙᲠᲔᲑᲐᲨᲘ

სოფია, 6 ივნისი. (საქტაგი). როგორც სოფიის რადიო გადმოგვცემს, ბულგარეთის დიდი ეროვნული კრების თავმჯდომარემ ვასილ კოლაროვმა გუშინ კრების სხდომაზე განაცხადა, რომ სოფიის საოლქო სასამართლოსთან არსებული საპროკურორო ზედამხედველობისაგან მიღებულია წერილი, რომლითაც პროკურორი თხოულობს დიდი სახალხო კრების ნებართვას დააპატიმროს და სამართალში მისცეს სახალხო წარმომადგენელი და მიწათმოქმედთა ოპოზიციური საპარლამენტო ჯგუფის ლიდერი ნიკოლა პეტკოვი. პროკურორის წერილში მოყვანილია ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ პეტკოვი თავის თანამზრახველებთან ერთად ამზადებდა სახელმწიფო გადატრიალებას შეიარაღებული ძალის გამოყენებით.

ბულგარეთში მიღებული საპარლამენტო პროცედურის წესების შესაბამისად, საკითხი გადაეცა დიდი სახალხო კრების იურიდიულ კომისიას. კომისია დაუყოვნებლივ შეუდგა საპროკურორო ზედამხედველობის მიერ აღძრული საკითხის განხილვას. სხდომის დამთავრების შემდეგ კომისიის მომხსენებელმა დიდ სახალხო კრებას აცნობა, რომ კომისიამ გადასწყვიტა ჩამორთვას ნიკოლა პეტკოვს სადეპუტატო ხელშეუხებლობა.

მთელ რიგ სახალხო წარმომადგენელთა — ყველა საპარლამენტო ჯგუფის დელეგატთა, მათ შორის ოპოზიციური ჯგუფის დელეგატის გამოსვლის შემდეგ სიტყვა მიეცა ნიკოლა პეტკოვს, რომელიც შეეცადა თავი ემართლებინა. კენჭისყრით დამტკიცებულ იქნა საპარლამენტო კომისიის გადაწყვეტილება, რომელიც რთავს ნიკოლა პეტკოვის დაპატიმრებისა და სამართალში მიცემის ნებას.

ᲢᲐᲜᲘᲣᲒᲘᲡ ᲡᲐᲐᲒᲔᲜᲢᲝ ᲣᲐᲠᲧᲝᲤᲡ

ბელგრადი, 5 ივნისი. (საქტაგი). ბელგრადის რადიო გადმოგვცემს, რომ უკანასკნელი დღეების განმავლობაში მონარქისტულ-ფაშისტურმა პრესამ ათენში და საბერძნეთის მთავრობის ოფიციალურმა წრეებმა გააძლიერეს იუგოსლავიის წინააღმდეგ მიმართული ჭორების კამპანია. მაგალითად, 30 მაისს ბერძნული გაზეთი „ვიმა" სწერდა, რომ იუგოსლავიაში სწარმოებს რაღაც საერთაშორისო ბრიგადის კონცენტრაცია ბერძენ პარტიზანთა დასახმარებლად. 31 მაისს გაზეთი „ნეალიტა" იუწყებოდა, რომ უცხო წარმოშობის თვითმფრინავებმა ბერძენ პარტიზანებს ჩამოყარეს მასალები და იუგოსლავიის მიმართულებით გაფრინდნენ. 2 ივნისს საბერძნეთის მთავრობის ერთმა მოხელემ ათენში გააკეთა განცხადება საბერძნეთის საზღვრის მახლობლად იუგოსლავიის სამხედრო შენაერთების კონცენტრაციის შესახებ. ბოლოს, მონარქისტულ-ფაშისტური ბერძნული პრესა და ოფიციალური წრეები ათენში ავრცელებენ ცნობას რაღაც ინციდენტების შესახებ იუგოსლავია-საბერძნეთის საზღვარზე.

ტანიუგის სააგენტოს დავალებული აქვს გადაჭრით უარყოს ეს ჭორები, რომლებსაც მხარს უჭერს უცხოელთა ზოგიერთი წრე.

ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲛᲘᲢᲘᲜᲒᲔᲑᲘ ᲑᲣᲓᲐᲞᲔᲨᲢᲨᲘ

ბუდაპეშტი, 5 ივნისი. (საქტაგი). ბუდაპეშტში შესდგა მუშათა ორი პარტიის გაერთიანებული მასობრივი მიტინგები, მიძღვნილი შინაპოლიტიკური მდგომარეობისადმი. უნგრეთის სატახტო ქალაქის გარეუბან უიპეშტში მიტინგზე გამოვიდნენ შინაგან საქმეთა მინისტრი ლასლო რაიკი და იუსტიციის მინისტრი იშტვან რისი, რომლებსაც მქუხარე ტაშით შეხვდნენ.

„სტანდარტის" სტადიონზე მუშა-მოსამსახურეთა ხალხმრავალ მიტინგზე სიტყვა წარმოსთქვეს სოციალ-დემოკრატიული პარტიის პოლიტბიუროს წევრმა ამრე სელიგმა და უნგრეთის კომპარტიის გენერალური მდივნის მოადგილემ მიხაი ფარკაშმა.

ჩვენ მოგვცეს თავისუფლება,—განაცხადა სელიგმა,—და ჩვენი ხალხი ვალდებულია არა მარტო შეინარჩუნოს ის, არამედ გამოიყენოს ახალი დემოკრატიული უნგრეთის ასაშენებლადაც. მხოლოდ ორი მუშათა პარტიის შეერთებული ღონისძიებით ჩვენ შეგვიძლია წარმატებას მივაღწიოთ, ავაშენოთ დამოუკიდებელი, თავისუფალი და მდიდარი უნგრეთი.

ფარკაშმა თავის სიტყვაში დაახასიათა უკანასკნელ ხანს უნგრეთში მომხდარი ამბები, როგორც უნგრეთის რეაქციის კრახისა. ფარკაშმა ამასთან დაკავშირებით შეჩერდა ანტირესპუბლიკურ შეთქმულებაზე და განაცხადა: შეთქმულება წარმოადგენდა უნგრეთისათვის სასიკვდილო საფრთხეს და მისი მასშტაბი მთლიანად მხოლოდ ახლა გამომჟღავნდა. შეთქმულთა შორის აღმოჩნდნენ პრემიერ-მინისტრი და წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის გენერალური მდივანი, არ შეიძლება დავივიწყოთ, სთქვა ფარკაშმა,—რომ შეთქმულთა შორის იყო ბელა ვარგაც, რომელიც გაიქცა ავსტრიაში, ოკუპაციის ამერიკულ ზონაში, და მიიღო მათი ვიზა ისე ჩქარა, როგორც ეს ჯერ არავის არ მიუღია.

შეთქმულნი, განაგრძო ფარკაშმა, ყოველმხრივ ცდილობდნენ გაემწვავებინათ უნგრეთის ეკონომიური სიძნელეები.

სხვა რაიონებშიც ხალხმრავალი მიტინგები ჩატარდა რეაქციის საბოლოო აღმოფხვრისა და ერთიანობის ლოზუნგით. ყველა მიტინგზე მიღებულია ერთსულოვანი რეზოლუციები, რომლებშიც ბუდაპეშტის მშრომელები მიესალმებიან უნგრეთის ახალ მთავრობას, მოითხოვენ ბანკების ნაციონალიზაციას, ქონების გადასახადთა შემოღებას, სიძვირის ლიკვიდაციასა და ახალ საპარლამენტო არჩევნებს.

ᲤᲔᲠᲔᲜᲪ ᲜᲐᲓᲘ ᲒᲐᲠᲘᲪᲮᲣᲚᲘᲐ ᲬᲕᲠᲘᲚ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲓᲐᲜ

ბუდაპეშტი, 4 ივნისი. (საქტაგი). როგორც უნგრეთის რადიო გადმოგვცემს, გუშინ შესდგა წვრილ სოფლის მეურნეთა დამოუკიდებელი პარტიის პოლიტბიუროს სხდომა. თავმჯდომარეობდა იშტვან დობი. თავმჯდომარემ წაიკითხა პარტიის გენერალური მდივნის იშტვან ბალოგის წერილი, რომლითაც იგი ითხოვს ხანგრძლივ შვებულებას ჯანმრთელობის ცუდი მდგომარეობის გამო. პოლიტბიურომ დააკმაყოფილა ეს თხოვნა. შემდეგ იშტვან დობიმ განაცხადა, რომ, სარწმუნო ცნობების თანახმად, ბელა ვარგა ორი პიროვნების თანხლებით, რომელთა ვინაობა ჯერ არაა გამორკვეული, უნგრეთიდან გაიქცა. იშტვან დობის წინადადებით პოლიტბიურომ ერთხმად გამოიტანა გადაწყვეტილება წვრილ სოფლის მეურნეთა დამოუკიდებელი პარტიის წევრობიდან ფერენც ნადის გარიცხვის შესახებ, რომელმაც არ შეასრულა არც მინისტრთა საბჭოს და არც პარტიის მითითებანი იმის შესახებ, რომ სამშობლოში დაბრუნებულიყო და თვალი ვერ გაუსწორა მის წინააღმდეგ წაყენებულ ბრალდებას, რაც არ შეეფერება ადამიანს და პოლიტიკურ მოღვაწეს. ამით მან თავის თავს გამოუტანა მძიმე განაჩენი.

პოლიტბიურომ ერთხმად გადასწყვიტა უცხოეთში გაქცეული ბელა ვარგას პარტიიდან გარიცხვა.

ᲣᲜᲒᲠᲔᲗᲘᲡ ᲬᲕᲠᲘᲚ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲛᲔᲣᲠᲜᲔᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲑᲘᲣᲠᲝᲡ ᲒᲐᲓᲐᲬᲧᲕᲔᲢᲘᲚᲔᲑᲐ

ბუდაპეშტი, 6 ივნისი. (საქტაგი). გაზეთ „მადიარ ნემზეს" ცნობით, წვრილ სოფლის მეურნეთა პარტიის პოლიტიკურმა ბიურომ პარტიის გენერალური მდივნის მოვალეობანი დააკისრა დეპუტატ ფერენც იმპლოშს. ეროვნული კრების თავმჯდომარის პოსტზე დასახელებულია არპად საბოს კანდიდატურა.

ᲛᲗᲐᲕᲐᲠ ᲘᲐᲞᲝᲜᲔᲚ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲓᲐᲛᲜᲐᲨᲐᲕᲔᲗᲐ ᲞᲠᲝᲪᲔᲡᲘ

ტოკიო, 5 ივნისი. (საქტაგი). 2 ივნისს საერთაშორისო ტრიბუნალის სხდომაზე ტოკიოში საბჭოთა ბრალმდებლის თანაშემწემ პოლკოვნიკმა ივანოვმა მოახდინა მოწმე ტანაკას ჯვარედინი დაკითხვა. ტანაკას, როგორც მოწმის, დაკითხვა პირველად როდი ხდება. წარსულში ტანაკას ჰქონდა გენერალ-ლეიტენანტის ხარისხი და ეკავა გენერალური შტაბის პირველი ოპერატიული განყოფილების უფროსის პოსტი. თავის ვრცელ წერილობით ჩვენებაში მოწმე ცდილობდა გაემართლებინა იაპონიის მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ აგრესიული ომისათვის თითქოს სტრატეგიული თავდაცვის მოსაზრებით. იმ გარემოებას, რომ იაპონიის სამხედრო მზადება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისათვის დაიწყო საბჭოთა კავშირზე გერმანიის თავდასხმისთანავე, ტანაკა ხსნის მხოლოდ დამთხვევით. თავის ჩვენებას ტანაკა აგებს ლიტონ მტკიცებებზე, რაიმე დოკუმენტის წარუდგენლად. ბრალმდებლის შეკითხვაზე, ხომ არ წარმოადგენს მოწმის ჩვენება მისი ფიქრებისა და მოგონებების ნაყოფს მათი საფუძვლიანობის ყოველგვარი რეალური გარანტიის გარეშე, ტანაკამ უპასუხა, მე დოკუმენტები არა მაქვსო.

ჯვარედინი დაკითხვით დადასტურდა, რომ გენერალური შტაბის ოპერატიული განყოფილების უფროსის პოსტზე იგი წამოყენებული იყო ბრალდებულ ტოძიოს მიერ, რომელსაც მაშინ სამხედრო მინისტრის პოსტი ეკავა. 1940 წლის შემოდგომიდან 1942 წლის ბოლომდე ტანაკა ტოძიოსა და სუგიამასთან ერთად იმუშავებდა ჩრდილოეთში საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ, აგრეთვე სამხრეთის ზღვების ქვეყნებსა და ჩინეთში იაპონიის დაპყრობითი გეგმებს.

ივანოვის შეკითხვაზე, ხომ არ ეწინააღმდეგება საღ მოსაზრებას ტანაკას მტკიცება „იაპონიისადმი საფრთხეზე" საბჭოთა კავშირის მხრივ სტალინგრადის დაცვის დღეებშიო, მოწმემ აღიარა თავის მტკიცებათა უაზრობა. მან აგრეთვე აღიარა, რომ 1941 წლის ივლისში იაპონიის მთავრობამ მიიღო საიდუმლო გადაწყვეტილება საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ომისათვის ფარული მზადების შესახებ. ტანაკა ცდილობდა დაემტკიცებინა, რომ კვანტუნის არმიის გეგმებს, რომლებიც ცნობილია „კანტოკუ-ენის" სახელწოდებით, თითქოს „თავდაცვითი" ხასიათი ჰქონდა. იგი აგრეთვე ცდილობდა უარეყო იაპონიაში გერმანიის სამხედრო ატაშეს კრეჩმერის დეპეშა, გაგზავნილი ბერლინს ფარული მობილიზაციის მიმდინარეობის შესახებ. მაშინ მოწმეს წაუკითხეს მისივე წერილობითი ჩვენების ამონაწერი, რომელშიც მან დაადასტურა ფაქტი საგანგებო მობილიზაციისა, რომელიც იაპონიაში ტარდებოდა 1941 წელს კვანტუნის არმიის გაძლიერების მიზნით. პირადად მის მიერ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 1941 წელს შემუშავებულ ომის გეგმას ტანაკა წერილობით ჩვენებაში „გახანგრძლივებული თავდაცვის გეგმას" უწოდებს. ამის გასაბათილებლად პოლკოვნიკმა ივანოვმა წაიკითხა ჩვენება გენერალური შტაბის პირველი განყოფილების ყოფილი ოფიცრის პოდპოლკოვნიკ რიუძო სეძიმასი, რომელსაც საბჭოთა ბრალდებამ ადრე დაჰკითხა. გამოირკვა, რომ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ იაპონიის ომის გეგმაში გათვალისწინებული იყო ომის პირველ ეტაპზე დაეპყროთ ქალაქები ვოროშილოვი, ვლადივოსტოკი, ბლაგოვეშჩენსკი და სხვები. მეორე ეტაპზე გათვალისწინებული იყო ჩრდილოეთ სახალინის, კამჩატკის პეტროპავლოვსკის, კომსომოლსკის, ამურის ნიკოლაევსკისა და საბჭოთა ნავსადგურის დაპყრობა. მოწმე დიდხანს ცდილობდა არ გამოტეხილიყო, მაგრამ შემდეგ მაინც აღიარა, რომ 1941 წლის გეგმა ითვალისწინებდა საბჭოთა ქალაქების დაპყრობას შორეულ აღმოსავლეთში. საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ 1942 წლისათვის აგრესიული ომის მის მიერ შედგენილ გეგმას ტანაკა წერილობით ჩვენებაში „პასიური შეტევის" გეგმას უწოდებს. ჯვარედინი დაკითხვის დროს მას წაუკითხეს გენერალ-მაიორ ტომოკაცუ მაცუკურას ჩვენების ამონაწერი, რომელშიც ნათქვამია, რომ აღნიშნული გეგმა ითვალისწინებდა საბჭოთა ზღვისპირეთის დაპყრობას, რის შემდეგაც კვანტუნის არმია უნდა მომზადებულიყო შემდგომი ამოცანების შესასრულებლად. მოწმე განაგრძობდა მტკიცებას, რომ სწორედ ამას ეწოდება „პასიური შეტევის" გეგმა და არა აგრესიული ომის გეგმა.

მოწმეს წაუკითხეს ამონაწერი იმ საუბრის ჩანაწერისა, რომელიც [illegible] იაპონიის ყოფილ ელჩს [illegible] ჰქონდა რიბენტროპთან 1943 წლის [illegible] რამ უამბოლა, რომ უკვე 20 წელია გენერალური შტაბის ყველა გეგმა მუშავდებოდა რუსეთზე შესატევად. თუ შესაძლებელია წარმატების გათვალისწინება ამ მიმართულებით, მაშინ, უამბოლა, შეტევა დაიწყება".

ტრიბუნალის 2 ივნისის საღამოს სხდომაზე დამცველმა ბლეკნიმ გამოიწვია მოწმე, ყოფილი გენერალ-ლეიტენანტი კიმურა, რომელსაც 1939 წლიდან 1941 წლამდე კვანტუნის არმიის შტაბის უფროსის პოსტი ეკავა. მოწმე წერილობით ჩვენებაში ამტკიცებდა, რომ კვანტუნის არმიის სარდლის პოსტზე ხუთი წლის განმავლობაში უმეძუს ყოფნის დროს, 1939-დან 1944 წლამდე, მანჯურიაში თითქოს ერთი ინციდენტიც არ მომხდარა საბჭოთა კავშირის საზღვარზე.

ჯვარედინი დაკითხვის დროს ივანოვმა მოიყვანა დოკუმენტალური ცნობები იაპონიის ჯარების მიერ სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრის დარღვევათა შესახებ. 1943 წელს დარღვევათა რაოდენობა სარეკორდო იყო და შეადგენდა საზღვრის დარღვევის 414 შემთხვევას. გარდა ამისა, ამავე წელს აღნიშნული იყო იაპონიის თვითმფრინავების მიერ საბჭოთა საზღვრის დარღვევის 119 შემთხვევა. 1940 წლიდან საზღვრის დარღვევათა რაოდენობა განუწყვეტლივ იზრდებოდა.

საღამოს სხდომის ბოლოს დამცველმა ბლეკნიმ მოწმედ გამოიწვია ამერიკელი ოფიცერი პოდპოლკოვნიკი ბლეიდი, რომელიც მაკარტურის შტაბის დაზვერვის განყოფილებაში მუშაობს. პოდპოლკოვნიკი ბლეიდი მოულოდნელად გამოცხადდა ერთგვარი საიდუმლოების ვითარებაში, წინააღმდეგ იმ წესისა, რომ წერილობითი ჩვენება წარდგენილ იქნას ერთი დღის წინ. დაცვამ წინადადება შეიტანა მისი დაკითხვა მოეხდინათ წერილობითი ჩვენების წარუდგენლად. ბრალდების მიერ გამოთქმული საწინააღმდეგო აზრის პასუხად დაცვამ განაცხადა: დაცვას მოწმის ჩვენების შესახებ დოკუმენტების წარმოდგენა რომ შესძლებოდა, მაშინ მოწმის გამოწვევა საჭირო აღარ იქნებოდაო. მოწმის სიტყვით, საოკუპაციო ჯარების შტაბის დაზვერვამ ნება დართო მას მხოლოდ ნაწილობრივ გამოაქვეყნოს ცნობები, დოკუმენტების წარუდგენლად, რადგან ეს დოკუმენტები სპეციფიკურ სამხედრო ინფორმაციას შეიცავენ. მოწმემ დაიწყო ციფრების გამოქვეყნება 1943-1944 წლებისათვის მანჯურიაში იაპონიის შეიარაღებული ძალების მდგომარეობის შესახებ და აღნიშნა, რომ ცნობები ამოღებულია აგენტურული წყაროებიდან. მოწმე ბლეიდის მიერ მოყვანილი ციფრები შემცირებულია. საბჭოთა ბრალმდებელმა ვასილიევმა მოწმეს ჩვენება შეაწყვეტინა და მოითხოვა მისი ჩვენების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენა. ამის შემდეგ გამოცხადდა შესვენება მეორე დღემდე.

3 ივნისის დილის სხდომის დასაწყისში ვასილიევმა კვლავ გაიმეორა თავისი საწინააღმდეგო აზრი და განაცხადა, თუ მოწმეს მოჰყავს საოკუპაციო ჯარების შტაბის სადაზვერვო განყოფილების ოფიციალური ცნობები, მაშინ ეს ცნობები წარმოდგენილ უნდა იქნას დოკუმენტის სახით. როდესაც აღძრა საკითხი მოწმის მიერ მოყვანილი ცნობების არსზე, ვასილიევმა საწინააღმდეგო აზრი გამოსთქვა სამი პუნქტის შესახებ:

1) ცნობები ეხება 1943-1945 წლების პერიოდს, როდესაც საფრთხე საბჭოთა კავშირისათვის ყველაზე ნაკლებ მწვავე იყო.

2) იმ დროის ცნობები არ მოიცავენ საერთო ცნობებს იაპონიის არმიაზე, რომელსაც შესაძლებლობა ჰქონდა სწრაფად გადაეყვან-გადმოეყვანა ჯარები.

3) საბჭოთა ბრალდებამ წარმოადგინა უფრო სრული ცნობები, რომლებიც დამყარებულია არა მარტო აგენტურულ ცნობებზე, არამედ აგრეთვე კაპიტულაციის შემდეგ მასალების შესწავლაზე.

მაგრამ საბჭოთა ბრალდების წარმომადგენლის მიერ გამოთქმული საწინააღმდეგო მოსაზრებანი უარყოფილ იქნა და მოწმის ჩვენება მოისმინეს. აუდიტორია სრულებით არ მოელოდა, რომ მოწმის სტენდზე იხილავდა ამერიკელ ოფიცერს, რომელიც ჩვენებას ბრალდებულთა სასარგებლოდ იძლევა.

„ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙ ᲢᲐᲘᲛᲡᲘ" ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲡᲔᲡᲮᲘᲡ ᲛᲘᲪᲔᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ნიუ-იორკი, 5 ივნისი. (საქტაგი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ტოკიოელი კორესპონდენტი იუწყება, რომ, ავტორიტეტული წყაროებიდან მიღებული ცნობებით, ნიუ-იორკის „ჰენრი შრედერის საბანკო კორპორაციამ" და სან-ფრანცისკოს „ბენკ ოფ ამერიკამ" მაკარტურს შესთავაზეს 50 მილიონი დოლარი სესხი იაპონიისათვის ერთი წლის ვადით წლიური 3,5 პროცენტის ანგარიშით. ცნობაში ნათქვამია, რომ ბანკირებს სურთ გარანტია მიიღონ სამხედრო სარდლობისა და სამხედრო სამინისტროსაგან, რომ ეს უკანასკნელნი ხელს შეუწყობენ იაპონიის საექსპორტო ვაჭრობის გადიდებას. როგორც იუწყებიან, სესხი დაკავშირებულია უმაღლესი სარდლობის ამასწინანდელ წინადადებასთან — იაპონიას სესხი მიეცეს იაპონიის ბანკის ოქროს მარაგის გირავნობით იმისათვის, რომ დაფინანსებულ იქნას ძირითადი ნედლეულის იმპორტი.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ნიუ-იორკელი კორესპონდენტი გადმოგვცემს „ჰენრი შრედერის საბანკო კორპორაციის" წარმომადგენლის განცხადებას, რომ მოლაპარაკება ასეთ სესხისა და მის ხასიათზე სწარმოებს, მაგრამ საკითხი სესხის თანხის შესახებ არ განხილულა.

9 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ, ᲡᲐᲦᲐᲛᲝᲡ 8 ᲡᲐᲐᲗᲖᲔ, რაიკომის სხდომის დარბაზში მოწვეულია ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ Კ. Პ. (Ბ) ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ 26 ᲙᲝᲛᲘᲡᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲙᲝᲛᲘᲡ XX ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ.

ᲠᲔᲓᲐᲥᲪᲘᲘᲡᲐᲒᲐᲜ

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში, წერილში „ლენინისა და სტალინის დიადი თანამეგობრობა" ტექნიკური მიზეზით ტამერფორსის კონფერენციის მოწვევის თარიღი არასწორად არის ნაჩვენები. როგორც ცნობილია, ტამერფორსის კონფერენცია შესდგა 1905 წლის დეკემბერში და არა 1906 წელს.

პასუხისმგებელი რედაქტორი **ბ. ნანიტაშვილი**

ᲙᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲘᲡ ᲡᲐᲮᲔᲚᲝᲑᲘᲡ ᲡᲐᲥᲐᲚᲐᲥᲝ ᲞᲐᲠᲢᲙᲐᲑᲘᲜᲔᲢᲨᲘ

7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საკავშირო კ. პ. (ბ) ისტორიაში შესდგება კონსულტაცია. კონსულტაციას ჩაატარებენ: ქართულ ენაზე ამხ. **მირიანაშვილი**, რუსულ ენაზე ამხ. **ნოლიანისი**.

ᲡᲔᲛᲘᲜᲐᲠᲘ

7 ივნისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის მოლოტოვის რაიკომის პარტკაბინეტში რაიონის პარტიულ-სამეურნეო აქტივისათვის კეცხოველის სახელობის პარტკაბინეტი აწყობს სემინარს თემაზე: **„ი. ბ. სტალინის თხზულებათა პირველი ტომი".**

სემინარს ჩაატარებენ: ქართულ ენაზე ამხ. **ლებანიძე**, რუსულ ენაზე ამხ. **პიტოევი**.

ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ: ფალიაშვილის სახელობის — „აბესალომ და ეთერი"; **მარჯანიშვილის სახელობის** — „ვის ემორჩილება დრო", **გრიბოედოვის სახელობის** — „ტარტიუფი"; **მუსიკალური კომედიის** — „სამთა სიყვარული"; **ხანკულტურის** — „მეგობრობა";

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲠᲐᲓᲘᲝᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲓᲐᲪᲔᲛᲐᲗᲐ ᲞᲠᲝᲒᲠᲐᲛᲐ

7 ᲘᲕᲜᲘᲡᲡ

რადიოსადგურით 1154 მეტრ ტალღაზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

9.15 — ლიტერატურული გადაცემა. ნაწყვეტი სტალინური პრემიის ლაურეატის გ. ლეონიძის პოემიდან „სამგორი".

რადიოსადგურებით 1154 და 49,59 მეტრ ტალღებზე და ქალაქის სატრანსლაციო ქსელით:

17.20 — ქართული მუსიკის კონცერტი. 17.40 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ელენე კოშევაია — მოთხრობა ჩემს შვილზე. 18.00—ფეხბურთის მატჩის ტრანსლაცია ბერიას სახელობის „დინამოს" სტადიონიდან. 20.30—კონცერტი საქართველოს კოოპინკავშირთან არსებული თვითმოქმედი ანსამბლის შესრულებით. 20.45 — მიკროფონთან ბერიას სახელობის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პარტბიუროს მდივანი ამხ. გ. ჩაგელიშვილი. 21.05 —კონცერტი სობინოვის შესრულებით. 21.20 —ლიტერატურული გადაცემა, ნაწყვეტი ა. ბელიაშვილის რომანიდან „თავგადასავალი ბესიკი გაბაშვილისა". 22.45 — ანდრია ბალანჩივაძის პირველი სიმფონია.

საქართველოს ბერიას სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი აცხადებს, რომ ა. წ. 17 ივნისს, დღის 12 საათზე, ინსტიტუტის სააქტო დარბაზში შესდგება სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომა, რომელზეც ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

თ. ვეკუა თემაზე: **„საქართველოს ზოგიერთი ხორბლების ფესვთა სისტემის შედარებითი ანატომია".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **ლ. დეკაპრელევიჩი**, ბიოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი დოცენტი **ნ. ანელი**.

ო. ცუცუნაშვილი სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად თემაზე: **„ხანაწყვერალი სიმინდის მორწყვის რეჟიმი გარდაბნის რაიონის პირობებში".**

ოფიციალური ოპონენტები: საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, პროფესორი **ი. ლომოური**, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ა. ათანელიშვილი**.

სადისერტაციო შრომების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი აცხადებს, რომ ფილოსოფიისა და ისტორიის ფაკულტეტების გაერთიანებულ სამეცნიერო საბჭოს საჯარო სხდომაზე ა. წ. 18 ივნისს, დღის 1 საათზე (აუდიტორია № 86, მთავარი შენობა, მარის ქ. 1) ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ერასტი ამბაკოს-ძე ახობაძე** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ი. ბ. სტალინის რევოლუციური მოღვაწეობის დასაწყისი".** ოფიციალური ოპონენტები ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **ა. ფირცხალაიშვილი**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ხ. სიმონგულოვი**, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი **ი. მელქაძე**.

დისერტაციის გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

მოქალაქე **გიორგი ნიკოლოზის-ძე მუჩაიძემ**, მცხოვრებმა სალონის ქ. № 10, აღძრა საქმე ცხრა ძმის ქ. № 43 მცხოვრებ მოქალაქე **ნათელა ვასილის ასულ ნიაურთან** განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის მოლოტოვის რაიონის 1 უბნის სახალხო სასამართლო.

შვილები ვახტანგ, ნინო, თამარ, ვერა, დები ელენე, ლიდა, რძალი ქსენია იუწყებიან **ვლადიმერ ბესარიონის-ძე კახიანის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VI, 4 ს. ეწერში (სამტრედიის რაიონი).

აკაკი და თამარი დიდმანიძეები შვილებით, სარდიონ, ქსენია გოგიბერიძეები იუწყებიან ბიძის **სიმონ მაქსიმელის-ძე ლომინაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-VI, ცხემლისხიდში.

თბილისის კიროვის რაიონის იურიდიული კონსულტაცია იუწყება **ალექსანდრე თეიმურაზის-ძე ძნელაძის** გარდაცვალებას.

მეუღლე ნინო, შვილები ფაცა, ვახტანგ, შვილიშვილი ავთანდილ, სიძე ვახტანგ გოგოძე იუწყებიან **ბესარიონ (ბესო) ფოფხაძის** გარდაცვალებას. დაკრძალვა ტყიბულში.

და მაშო, დისშვილი ძიძუ სოხაძეები, სიძე პეტრე ახალიძე, იასონ და ოლღა შავლაძეები იუწყებიან **ვიქტორ ბესარიონის-ძე შავლაძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 7-VI, 6 ს. გოგოლის, 10.

მეუღლე სასია, შვილები გოგი, კუკური, დოდო, ცაცა, ბონდო, რძალი ლიდა, სიძეები სერგო, ოთარი, რძალი მაშო შვილებით და სიძეებით იუწყებიან **მიხეილ სამსონის-ძე ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 7-VI, 8 ს. გამოსვენება 8-VI, 2 ს. კლარა ცეტკინის, 89.

მეუღლე ოლია, შვილები ელიზბარ, დარო, ქეთო, რძალი ოლია, შვილიშვილები სამი, ლამარა იუწყებიან **ივანე ალექსის-ძე გაბარაშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 8-VI, ჩოდრიშვილის, 85.

გაზეთ „ნორჩი ლენინელის" რედაქციის კოლექტივი იუწყება **ალმასხან ოტიას-ძე პიპინაძის** გარდაცვალებას.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 28, ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, სამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო-სატრანსპორტოსი—3-80-88, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამოშვების — 3-81-65, გამომცემლობის — 3-51-81, სტამბის დირექტორის—3-77-70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28. ტირაჟი 110.000 უე 02540